საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომლისაც ბეჭდვუნი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიჩებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი-სამშაბათი, 5-6 ივლისი . 2021 წ. №147-148 (9266-9267) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

მაღალი ზნეობა გადაგვარჩენს!

დღეს, 17 საათზე, ყველანი ქაშუეთთან!

მსოფლიოს ვაჩვენოთ, რომ ჩვენს ღირსებას ვიცავთ!

გადაგვარების მცდელობა ჩვენთვის მიუღებელია!

„მე ვიცავ პატრიარქს!“

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ორგანიზებით რუსთაველის გამზირზე აქცია გაიმართა. „მე ვიცავ ეკლესიას“, „მე ვიცავ პატრიარქს“, — ამ ლოზუნგებით პარტიის ლიდერებმა საზოგადოებას გაერთიანებისკენ მოუწოდეს.

ორგანიზატორების თქმით, ბოლო პერიოდში ეკლესიის მისამართით ცილისმწამებლური ბრალდებები ისმის. აქციის მონაწილეების მთავარი მოთხოვნაა, შეწყდეს ცილისწამება, შეტევა და თავდასხმა ეკლესიაზე, ასევე მოთხოვნებს შორისაა სახალხო დამცველის ნინო ლომჯარიას გადადგომა.

„მთავარი, რის გამოც ვიკრიბებით, ვიბრძვით, ვშრომობთ, ვცოცხლობთ და მთავარი, რასაც ვიცავთ, არის მომავალი თაობის ხვალინდელი დღე. ყოველი ადამიანი, ყოველი მოქალაქე, რომელიც დღეს ჩვენს აქციას შემოუერთდა, იცავს მისი შვილების მომავალს, ჩვენი შვილების ქართულ მომავალს, ქართულ სახელმწიფოს და მომავალს, სადაც ჩვენი მომავალი თაობა სწორედ ნამდვილ მართლმადიდებლად იქნება ჩამოყალიბებული, სამშობლოს ნამდვილ შვილად, ნამდვილ პატრიოტად.

რატომ შევიკრიბეთ ჩვენ დღეს? შევიკრიბეთ იმიტომ, რომ ბოლო პერიოდში დედაეკლესიის და ჩვენი სამღვდელოების მიმართ ძალიან დიდი დარტყმები იყო. ჩვენ ამ ყველაფერს თვალს ვადევნებდით. იგივე დარტყმები და მიზანმიმართული შეტევა საპატრიარქოს საბავშვო სახლებსა და გიმნაზიებზე. აღვირახსნილი ცილისწამება, ტყუილი, დეზინფორმაცია, რაც ვრცელდებოდა და რასაც ვაშუქებდით ჩვენს გადაცემებში, — განაცხადა ირმა ინაშვილმა.

აქციის მონაწილეებმა მიიღეს და გაავრცელეს საგანგებო მიმართვა.

კელი დეგნანი: ქართველებსა და ამერიკელებს შორის ძლიერი კავშირი არსებობს!..

4 ივლისს ვზეიმობთ ამერიკის ლიდერების მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას. დღეს ოჯახებთან და მეგობრებთან ერთად ამერიკელები პატივს მიაგებენ ფუნდამენტურ უფლებებს — სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლებებს, რაც დამოუკიდებლობის დეკლარაციით არის აღიარებული, — ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა, კელი დეგნანმა გუშინ განაცხადა.

...დამოუკიდებლობის დღე დემოკრატიის საზეიმოდ აღნიშვნის დღეც არის — არა იმ მნიშვნელობით, რომ ეს შესრულებული ამოცანაა ან ბრძოლაში საბოლოო გამარჯვება, პირიქით, ჩვენ საზეიმოდ აღვნიშნავთ დემოკრატიას, როგორც სამუშაო პროცესს, როგორც უწყვეტ ძალისხმევას და გამოწვევას, რომელიც უბიძგებს თითოეული მოქალაქეს, შეიტანოს თავისი წვლილი ამ პროცესში, დასვას კითხვები, მიუდგეს შემოქმედებითად და კომპრომისებზეც წავიდეს. ამერიკის, როგორც გლობალური ლიდერის როლია, არა მარტო ხელი შეუწყოს მშვიდობას , კეთილდღეობასა და დემოკრატიულ ღირებულებებს, ასევე იყოს პასუხისმგებელი, თვალი გაუსწოროს საკუთარ შეცდომებს, რაოდენ მტკივნეულიც არ უნდა იყოს ეს. როგორც პრეზიდენტმა ბაიდენმა თქვა, ამერიკის შეერთებული შტატები არა მხოლოდ მისი ძალის მაგალითით უნდა იყოს წინამძღოლი, არამედ, მისი მაგალითის ძალითაც.

ამერიკელები და ქართველები ერთნაირი სიმძაფრით აღიქვამენ ქვეყნის დამოუკიდებლობას. მათ აერთიანებთ ქვეყნის ძლიერი სიყვარული. ყოველივე ამის საფუძველზე ჩამოყალიბდა ჩვენი პარტნიორობა 30 წლის წინ, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა. ჩვენ ერთად ვმუშაობთ საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების ასაშენებლად — საქმე, რომელიც საქართველომ 100 წლის წინ დაიწყო და რომელიც ტრაგიკულად შეწყდა — კვლავაც გავაგრძელებთ საქართველოს დახმარებას. ქართველებსა და ამერიკელებს შორის ძლიერი კავშირი არსებობს, არა მხოლოდ ჩვენი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისთვის, არამედ ჩვენი დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისა და ჩვენთვის ძვირფასი ღირებულებების ერთგულების გამო. მაშინ, როდესაც ამერიკელები მთელ მსოფლიოში იკრიბებიან ოჯახებთან და მეგობრებთან, რომ პატივი მიაგონ ჩვენს ტრადიციებს, ისტორიასა და თავისუფლებას, ჩვენც ამერიკის საელჩოში სიამაყით აღვნიშნავთ დღეს ჩვენს ქართველ მეგობრებთან ერთად.

ირაკლი ღარიბაშვილი ამერიკელ ხალხს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს

საქართველოს მთავრობის მეთაური ირაკლი ღარიბაშვილი ამერიკელ ხალხს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს.

გუშინ ამერიკის დამოუკიდებლობას 245 წელი შეუსრულდა.

„დამოუკიდებლობის დღეს, ამ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ დღესასწაულს ვულოცავ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და ამერიკელ ხალხს. საქართველოსა და აშშ-ს შორის გამორჩეული მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობა ჩვენი საერთო ღირებულებების დასტურია. აშშ სწორედ ის ქვეყანაა, რომელიც საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას და წინსვლას განსაკუთრებულ მხარდაჭერას უცხადებს. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს ამერიკელ მეგობრებს ასეთი თანადგომისთვის და იმ სამაგალითო ურთიერთობისთვის, რომელსაც მრავალი წელია ერთად ვაშენებთ. კიდევ ერთხელ ვულოცავ ამერიკელ ხალხს დამოუკიდებლობის დღეს და ვუსურვებ მათ კეთილდღეობას, წინსვლას და წარმატებებს“, — აღნიშნულია საქართველოს პრემიერის განცხადებაში.

◎ ასე იყო, ასე არის...

ჟვანიების ბედისწერა

მაინც, რა ბედი ჰქონიათ ჟვანიებს: თუ სახელმწიფოს უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირს ამ ქვეყნიდან გასვლაში ხელი სხვებმა შეუწყვეს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საკუთარი ნებით გადადგა, მაგრამ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში შეურიგებელ ოპოზიციად სახეცვლილი მაშინდელი მმართველი პოლიტიკური ძალა ჩვეული უტიფრობით განაგრძობს თითოეული მათგანის ლაფში ამოსვრას, თითქოს მათივე სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი არ ყოფილიყვნენ ან ერთი, ან მეორე.

დიახ, სწორედ მეცოცხეთა პარტიასთან ჭიპლარით გადასკვნილმა სამოქალაქო სექტორად წოდებულმა არასამთავრობოებმა აუნთეს ქალბატონ თამარს 8 წლის წინათ მწვანე შუქი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური თანამდებობის თავქალობისკენ, მაგრამ რადგან საპასუხო სარგებელს ვერა და ვერ ეღირსნენ და თითქმის ყოველწლიურად ნოკაუტით აგებდნენ უთანასწორო საარჩევნო ბრძოლას „ქართულ ოცნებასთან“, ისიც ანათემას გადასცეს და „პენსიაში გასვლა“ დაარქარებინეს.

ისე, რა არის ცხოვრება: იქ, სადაც ერთ დროს საარჩევნო ადმინისტრაციას სათავეში ზნეკეთილობისა და პატიოსნების განსახიერება, ბატონი ჯუმბერ ლომინაძე ედგა, მისმა ვაიმემკვიდრეებმა — ზურაბ ჭიაბერაშვილმა და ლევან თარხნიშვილმა იმდენი მოახერხეს, რომ აღნიშნული სტრუქტურა სახელშებღალული ორგანიზაციის სინონიმად აქციეს, ჩალის ფასად რომ უღირს ხმის მიცემის პროცესის გაყალბება თუ ძალაუფლებით დაბანგულ-გარყვნილი მოქმედი მთავრობისადმი მაამებლური დამოკიდებულება.

ასე რომ, ის კი არ უნდა გვიკვირდეს, რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება უკვე ყოფილმა თავმჯდომარემ, არამედ საკითხავი ისაა, სატანის მოციქულთა ინტენსიური შტურმის პირობებში როგორ გაძლო ამ საინფარქტო პოსტზე 8 წლის განმავლობაში.

ჯერ ხეირიანად არცკი გაციებულა ცესკო-ს ხელმძღვანელის სავარძელი, რომ ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ახალი ფრონტის გახსნის საბაბი გახდა. კერძოდ, ამჯერად მუდამ უკმაყოფილოთათვის წითელ ხაზს კანდიდატთა კვოტირება წარმოადგენს — რატომ გამოიყო შესარჩევ კომისიაში სამოქალაქო სექტორისთვის „მხოლოდ“ 5 ადგილი და აკადემიური წრეებისთვის — ექვსი, მათ შორის სამი — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერთათვისო.

თქვე მამაცხონებულებო: დაფიქრდით და ისე გვიპასუხეთ — ვირო მადლისა არ იყოს, ან ეს 5-ადგილიანი ნდობა რითი დაიმსახურეთ? მართლაც, მადლობის მაგიერია?

ვინაიდან ქალბატონ პრეზიდენტს კიდევ რამდენიმე დღე აქვს მარაგში პარლამენტში დასამტკიცებლად პრეტენდენტთა ტრიოს წარსადგენად, ამჯერად წერტილს აქ დავსვამთ და რადგან წერილი ერთ-ერთი გვარის ბედისწერაზე საუბრით დავიწყეთ, იმავე თემით დავასრულებთ: როცა ნაც-ხელისუფლების მორიგი სადამსჯელო ოპერაციის გამო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რეპრესირებული პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია აიძულეს სამშობლო დაეტოვებინა, აეროპორტში განაცხადა — ჟორდანიები ემიგრანტობას მიჩვეულნი ვართო. მიხვდით?

გია პლატონიშვილი

მამაკაცმა პოლიციის მანქანას ნაჯახი ჩაარტყა

მამაკაცმა პოლიციის მანქანას ნაჯახი ჩაარტყა, შემთხვევა გუშინ ოზურგეთის ცენტრში მოხდა. თვითმხილველების თქმით, ახალგაზრდა ეკლესიიდან გამორბოდა, რომელსაც ხალხიც მოსდევდა. დევნის დროს საპატრულო პოლიციამ მისი გაჩერება სცადა, მან კი ნაჯახი, რომელიც თან ჰქონდა, მანქანას დაარტყა. როგორც შემოქმედის ეპარქიის პრესსამახურში აცხადებენ, ახალგაზრდა პირმა ტაძარი დაარბია, დამტვრეულია ხატები და სასანთლეები.

ინფლაციამ მორიგი ანტირეკორდი დაამყარა!

როდემდე გაგრძელდება ეს განუკითხაობა?

2021 წლის მაისში წლიურმა ინფლაციამ 7.7% შეადგინა, ხოლო აპრილთან შედარებით, ფასები 0.7 პროცენტით გაიზარდა. ეს ნიშნავს, რომ წლის დასაწყისიდან მოყოლებული ფასები განუწყვეტლივ იზრდება და მისი შეჩერება არავის, მათ შორის, ინფლაციაზე უშუალოდ პასუხისმგებელ ორგანოს — ეროვნული ბანკს არ შეუძლია.

როგორც სებ-ში აცხადებენ, მაისში, წინა თვესთან შედარებით, ინფლაციის მატებაზე ყველაზე მეტად საწვავის (0.2 პროცენტული პუნქტით) და მზესუმზირის ზეთის (0.1 პროცენტული პუნქტით) გაძვირებამ იმოქმედა.

„წლიურ ჭრილში ინფლაციაზე ყველაზე დიდ გავლენას 1.4 პროცენტით კომუნალურ გადასახადები ახდენდა. როგორც წინა ანგარიშში აღვნიშნეთ, ამის მიზეზი მეტწილად კომუნალური გადასახადების სუბსიდირების დასრულებაა.

მსოფლიოში მობილობის აღდგენასთან ერთად გაიზარდა ნავთობზე მოთხოვნა და, შედეგად, ფასებიც, რამაც ნავთობპროდუქტები გააძვირა. მაისში საწვავის წილმა წლიურ ინფლაციაში 1.3 პროცენტულ პუნქტს მიაღწია. ჯანმრთელობის დაცვა წლიურად 13.4 პროცენტით გაძვირდა, ხოლო სიგარეტის წილმა ინფლაციაში 0.2 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ამის გარდა, წინა პერიოდებში ლარის ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურებამ სხვა პროდუქტების გაძვირებაზეც იმოქმედა“, — ნათქვამია ეროვნული ბანკის ანგარიშში, სადაც ასევე აღნიშნულია, რომ სურსათის წლიური ინფლაცია 2.9%-ია, ხოლო მისი წილი მთლიან ინფლაციაში 0.9 პროცენტს გაუტოლდა.

რადგანაც საქართველოს იმპორტდამოკიდებული ქვეყანაა, ფასების ინდექსში საგარეო ფაქტორები ძალიან მოქმედებს, რომელიც მიმდინარე ეტაპზე საკმაოდ გაუარესებულია. შესაბამისად, ვითარების გამოსწორება ეროვნული ბანკს ევალება, თანაც ინფლაციის კონტროლი მისი ერთადერთი მოვალეობაა, რომელსაც უკვე წლებია ვერ ასრულებს.

სებ-ის წინააღმდეგ უკვე ძალიან კრიტიკულად არიან განწყობილნი საკანონმდებლო ორგანოში. პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ **დავით სონღულაშვილმა** პირდაპირ აღნიშნა, რომ ინფლაცია უკვე მაკროეკონომიკურ გეგმებს აფერხებს:

„ინფლაცია ჩვენი ქვეყნის საკმაოდ დიდი გამოწვევაა. ამ გამოწვევას ყურადღება აუცილებლად უნდა მიექცეს, რომ ქვეყანა საინვესტიციოდ მიმზიდველი იყოს, რათა ინვესტორების მოზიდვა შევძლოთ. გრძელვადიანი ეკონომიკური ხედვა და გეგმა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ კერძო სექტორს ინფორმაცია ჰქონდეს, თუ როგორ ხედავს მთავრობა ეკონომიკის განვითარებას, რა არის პრიორიტეტული სექტორები“, — განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

ეროვნული ბანკის მუშაობით დიდი ხანია უკმაყოფილონი არიან ეკონომისტებიც. ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის პრეზიდენტი **გიორგი კაპანაძე** სწორედ ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობაზე ამახვილებს ყურადღებას.

„ინფლაციის ზრდა მოსალოდნელი იყო და ბუნებრივია, ამის ერთ-ერთი მიზეზი პანდემიაა. მსოფლიოში გაძვირდა პროდუქცია, მკვეთრად მოიმატა ნავთობის ფასმა, საქართველოში გაიზარდა კომუნალური ტარიფები და ბუნებრივია, ეს ყველაფერი ინფლაციაზე აისახებოდა. 7.7%-იანი ინფლაცია მაღალია, განსაკუთრებით დაგეგმილთან შედარებით და ამაზე პასუხისმგებლობა უნდა იკისროს ეროვნულმა ბანკმა.

სებ-ი უნდა ეცადოს და ერთხელ და სამუდამოდ მიხვდეს, რომ ჩვენ იმპორტდამოკიდებული ქვეყანა ვართ და უნდა გვქონდეს მყარი ეროვნული ვალუტა და არ მიმდინარეობდეს გაუფასურება. ასეთ შემთხვევაში შეძლებს წლის ბოლომდე შეამციროს ინფლაციური წნეხი“, — აღნიშნა კაპანაძემ.

◎ დასავლური „ძიმოკრაწია“

ჯებირებს მიღმა თავდაცვაა!

ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის და განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების ცხოვრების წესის განხილვის გარეშე გთავაზობთ იმ პოლიტიკური პარტიების ჩამონათვალს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ლგბტქ+ უფლებებზე პოლიტიკურ შეთანხმებას:

ნაციონალური მოძრაობა, ევროპული საქართველო, ლელო, სტრატეგია აღმაშენებელი, რესპუბლიკური პარტია, გირჩი, გირჩი — მეტი თავისუფლება, კანონი და სამართალი, პროგრესი და თავისუფლება, დროა, სამართლიანობისთვის, თავისუფალი დემოკრატები, რეფორმერი, ერთიანი საქართველო, გამარჯვებული საქართველო.

აი, ამ ხალხმა ხელი მოაწერა შეთანხმებას, სადაც ერთ-ერთი პუნქტია, რომ ისინი ვალდებულებას იღებენ დაიცვან თითოეული მოქალაქის შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება, განურჩევლად სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა.

„ციყვებო“, ასეთი „რიჟა“ განცხადება საკმარისი არ არის! კეთილი ინებეთ და „5-ში მიბრძანდით პრაიდზე, ლამაზად ჩაიცვით, გაიკეთეთ ცისარტყელას ფერის შარფი, მოჰკიდეთ ხელი თქვენს პირად მოძღვრებს და აჩვენეთ მოქალაქეობრივი თვითშეგნება. ამიტომ ხართ დეპუტატები, რომ დაიცვათ ყველას უფლებები და იყოთ კონსტიტუციის დაცვის გარანტი“ (ტექსტი დავესესხე რომან გოცირიძეს, რომელმაც ამ სიტყვებით საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს მიმართა).

დიახ, მიბრძანდით და საქართველოს მოსახლეობის წინაშე ღიად გამოხატეთ თქვენი პოზიცია და სულიერი მდგომარეობა.

არ მიხვალთ და მაშინვე გახდებით იმ ჭიჭიკიას მსგავსი ტიპები, რომელსაც სურს იყოს გეი, მაგრამ არ გამოსდის, რადგან უბრალო პედერასტია...

სწორედ ამიტომ კიდევ ერთხელ ვამბობ:

1. პოლიტიკურმა პარტიებმა იუსტიციის სამინისტროში წარმოადგინონ წევრთა მინიმუმ 1000-კაციანი და რაიონების ორ მესამედში ადგილობრივი ორგანიზაციების (მინიმუმ 5 წევრი) სია. წინააღმდეგ შემთხვევაში ან შეუჩერდეთ რეგისტრაცია, ან აეკრძალოთ არჩევნებში მონაწილეობა (წევრების სია პირადი ნომრითა და ხელმოწერით. სხვადასხვა პარტიაში „გაერთიანებული“ ადამიანი დაისაჯოს თაღლითობის მუხლით).

2. გასაჯაროვდეს ბოლო სამი თვის განმავლობაში ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებზე თანხების ბრუნვის გრაფიკი (დონორის მითითება სავალდებულო არ არის).

ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა მიიღოს მკაცრი ზომები, რადგანაც სახეზე გვაქვს თაღლითთა ჯგუფის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ფლანგვა და დესტრუქციული ღონისძიებების ფარული დაფინანსება.

დამერწმუნეთ, ამ ზომების გატარების შემდეგ ქვეყანა, ბოლოს და ბოლოს, დადგება დემოკრატიისა და ნორმალური პოლიტიკური ცხოვრების გზაზე.

რაც შეეხება დასავლეთის რეაქციას: მიღებული შედეგები უნდა ეცნობოს საელჩოებს, საერთაშორისო ინსტიტუტებს და მიეწოდოს დასავლურ მედიასაშუალებებს.

ძალიან „საინტერესოა“ ამ ე.წ. კრიტიკული მედიის დამოკიდებულება „პრაიდის“ მიმართ.

ისინი გავეშეგულნი ცდილობენ, ამ გაურკვეველი სძესის არსებების რაღაც იდიოტური მოთხოვნები წარმოაჩინონ როგორც სინათლე, დემოკრატია და გარდაუვალი მომავალი.

ცდილობენ და არ გამოსდით.

„ეშმაკი ისეთი უნდა იყოს, რომ ეშმაკობა არ სჭირდებოდეს“.

დღეს, 17 საათზე, ყველანი ქაშუეთთან!

გადაგვარების მცდელობა ჩვენთვის მიუღებელია!

მსოფლიოს ვაჩვენოთ, რომ ჩვენს ღირსებას ვიცავთ – საპატრიარქო მოსახლეობას შეკრებისკენ მოუწოდებს

საპატრიარქომ თბილისი პრაიდთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა:

„ამა წლის 29 ივნისს გაკეთებული განცხადებით საქართველოს საპატრიარქომ „თბილისი-პრაიდის“ ორგანიზატორებსა და საქართველოში აკრედიტებულ საელჩოთა ხელმძღვანელებს მიმართა, რათა, ქვეყნის სტაბილურობისა და სამოქალაქო სიმშვიდის შენარჩუნების მიზნით, თავი შეეკავებინათ ლგბტქ+ პროპაგანდისტული აქტივობების მხარდაჭერისაგან.

იმედი გვქონდა, რომ ისინი ჩვენი საზოგადოების უდიდესი უმრავლესობის არჩევანს არ უგულებელყოფდნენ, მაგრამ ბოლო დღეების მოვლენებმა ნათლად აჩვენა, თუ რა ზეწოლაც ხორციელდება ქვეყანაში.

ჩვენი ეკლესიისთვის და ჩვენი მოქალაქეებისთვის შემაშფოთებელი და მიუღებელია გარკვეულ საელჩოთა და ევროპარლამენტარების ნაწილის მკვეთრი ჩარევა ჩვენს საზოგადოებრივ და სულიერ ცხოვრებაში და ვთვლით, რომ ეს მათი უფლებამოსილების გადამეტებაა.

ამასთან, კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ ე.წ. „პრაიდის“ მიზანი არის გაუკუღმართებული ცხოვრების წესის პროპაგანდა, რომელიც აზიანებს მომავალი თაობის ცნობიერებას; ეს ქმედება ჩვენს ხალხში, განურჩევლად ეროვნებისა და რელიგიური კუთვნილებისა, დაძაბულობასა და არეულობას იწვევს.

ყოველივე ამაზე კი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნული აქტივობების ორგანიზატორებსა და მხარდამჭერთ. მივმართავთ მოსახლეობას, მშვიდობიანად გამოვხატოთ ჩვენი პროტესტი და არ ავყვეთ ძალადობრივი კონფრონტაციისათვის მიზანმიმართულ პროვოკაციას.

ამა წლის 5 ივლისს, 17 საათზე, შევიკრიბოთ ქაშუეთის წმინდა გიორგის ტაძართან, აღვავლინოთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის პარაკლისი და მსოფლიოს ვაჩვენოთ, რომ ჩვენ ჩვენს ღირსებას ვიცავთ და გადაგვარების თავსმოხვეული მცდელობა ჩვენთვის მიუღებელია“, — ნათქვამია განცხადებაში.

არ დაგიმალავთ და „ოდნავ“ ვერკვევი გადაცემის, სტატიის, ნიუსის, რეპორტაჟის გაკეთების (დიახ, სწორედაც რომ „გაკეთების“) ნიუანსებში.

პირდაპირ ვიტყვი, რომ ამ ე.წ. პრაიდის თემა, რომელზეც „ტვ პირველი“ უკვე რამდენიმე გადაცემაა შფოთავს და დუღს, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ არის აშკარად თეთრი ძაფით ნაკერი.

ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ვიტყვი, რომ „ტვ პირველს“ ამ პრაიდის და ე.წ. ღირსების მარშის თემით, სურდა დაერტყა ირაკლი კობახიძისთვის და მთავარ „დანაშაულად“ წარმოეჩინა მისი ფრაზა, სადაც მან პრაიდის მიმართ ღიად გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება.

ახლა მე ვიტყვი იმას, რაც არის სინამდვილეში:

1. ირაკლი კობახიძეს არა აქვს უფლება ნება დართოს, ან არ დართოს რაიმე ღონისძიების ჩატარებას.

2. ირაკლი კობახიძე არის პოლიტიკოსი, მმართველი პარტიის ლიდერი და ის ვალდებულია გაითვალისწინოს ნებისმიერი შედეგი, რაც რაიმე აქციას შეიძლება მოჰყვეს. განსაზღვროს და დაადასტუროს თავისი პოზიცია.

3. ირაკლი კობახიძეს აქვს გამოხატვის თავისუფლება.

4. არავის აქვს უფლება ისპეკულანტოს პოლიტიკოსის პირადი დამოკიდებულებით და მისი გამოხატვის თავისუფლებას (მითუმეტეს, რომ მისი ფრაზა არ არის აღსრულებისთვის გადამწყვეტი) პროვოკაციის გამოწვევისთვის გამოიყენოს.

დაბოლოს, ვიტყვი იმას, რასაც არც ირაკლი კობახიძე და არც მამუკა მდინარაძე „ტვ პირველში“ არ იტყოდნენ:



— ახლა არ მითხრათ, რომ ამ ტელევიზიის თანამშრომლები ისე წუხან ამ გაურკვეველ, ავადმყოფ არსებებზე, რომ მათი ფოტოები სამზარეულოში აქვთ განთავსებული და დღე და ღამე ლოცულობენ მათი კეთილდღეობისთვის.

დათა თუთაშხიასი არ იყოს — არ გამოვა ეგ საქმე, რაჟა, ბიძიკო, და წადი სახლში (ან სხვა თემა მოძებნე).

პატივი ვცეთ გამოხატვის თავისუფლებას!

გეყურებააათ?

გამოხატვის თავისუფლებას, რომელიც მაქვს მეც, ჩემს ახლობლებს, მეგობრებს, ნაცნობებს და უცნობებს!

მოვითხოვ, ხელისუფლებამ დააკონკრეტოს ფრაზა — გამოხატვის თავისუფლება! და მკაფიოდ განმარტოს, რომ ეს „თავისუფლება“ ეხება ყველას, თუ კონკრეტულ ჯგუფს...

ეს „სახალხო დამცველი“ კი საერთოდ გასცდა ნორმალური ცხოვრების საზღვრებს და ასტრალში გაიჭრა.

დიახ, სწორედაც რომ ასტრალში, რადგანაც მისი ყველა განცხადება თუ ქმედება საერთოდ მოწყვეტილია არსებულ რეალობას და სავარაუდოდ დარწმუნებულია, რომ სადღაც უცხო პლანეტაზე, ან ანტარქტიდაზე დასახლდა, ადგილობრივმა კლიმატმა დააბნია და სურს, „აისბერგზე“ ტროპიკული მცენარეები მოაშენოს.

„სახალხო დამცველი მოუწოდებს კომპეტენტურ ორგანოებს და თანამდებობის პირებს დაუსჯელობის განცდისა და მომავალში მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით; გააკეთონ ლგბტქ+ თემის მხარდამჭერი განცხადებები“ — ნათქვამია ნინო ლომჯარიას განცხადებაში.

ხელისუფლებავ, სანამ ამ „სახალხო დამცველს“ კიდევ უფრო არ გაუზრდია მოთხოვნა და რაიმე „იმნაირი“ არ დაუვალებია, დროზე უშველეთ თავს.

მე და მოსახლეობის უდიდეს ნაწილს რა გვენაღვლება, არც თანამდებობის პირები ვართ და არც კომპეტენტური ორგანოს წარმომადგენლები.

უკაცრავად, მაგრამ რამდენი გვაქვს ვალი ამ ლომჯარიასი?

შევუგროვოთ და იქნებ დაგვანებოს თავი.

და საერთოდ არ მესმის „სახალხო დამცველის“ ინსტიტუტის საჭიროება („ძიმაკრაწია“ და დასავლური ცივილიზაცია არა კვატი!).

ამდენი წელიწადია გვყავს „სახალხო დამცველი“ და ხომ ვხედავთ, რომ არც ამართლებს ეს დაწესებულება. არაფერი „დამცველური“ ნამდვილად არ გვახსოვს.

იყო ასეთი ორგანიზაცია კომინტერნი (კომუნისტური ინტერნაციონალი).

არსებობდა მაშინდელი დასავლური ცივილური „ძიმაკრაწიის“ მოთხოვნის გამო და 1919 წლიდან 1943 წლამდე იარსება.

რეალურად ამ დაწესებულების არსებობა სუფთად „როგა ი კოპიტა“ იყო!

ზუსტად ისე არ აკეთებდა არაფერს, როგორც ეს ჩვენი „სახალხო დამცველი“.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კომუნისტი ზუსტად ჩვენი „არასამთავრობოებივით“ და „დასავლურად მოაზროვნეებივით“ თვლიდნენ, რომ კომინტერნის არსებობა აუცილებელი იყო, ძალიან მარტივად გაუქმდა.

გაუქმდა და ქვეყანა არ დაქცეულა.

გავაუქმოთ, ჯობია და ისინიც დაისვენებენ და ჩვენც.

მოკლედ რომ ვთქვათ, 21-ე საუკუნის საქართველოში ისევ ჯებირები გახდა საჭირო.

ჯებირები იმ ხალხს შორის, რომელთაგან ერთი ჯგუფი თვლის, რომ „ისინი განსხვავებულები, მაგრამ ჩვენნაირები არიან“ (აი ეს როგორ ხდება ვერაფრით გავიგე და, ალბათ, ვერავინ ამიხსნის, თუ როგორ შეიძლება ადამიანი მიმტკიცებდეს, რომ „შენგან განსხვავებული ვარ, მაგრამ მაინც შენნაირი ვარო“), ხოლო მეორე ჯგუფის რომელიმე წარმომადგენელს რომ უთხრა „თამარ მეფე ორჯერ იყო გათხოვილი“, თავში „ტაბურეტკას“ ჩაგარტყამს.

ერთნი რკინის ჯებირებს შიგნით უცხოელ ელჩებთან ერთად ფილმს უყურებენ, მეორენი ამ რკინის ჯებირების გარედან, მაგრამ სხვა, უხილავი ჯებირით შემოსაზღვრულნი კვერცხებს ისვრიან.

არადა, ამ ორივე ჯებირს მიღმა გაზაფხულია!

დიახ, ჯებირებს შიგნით არის არანორმალური ფილმი, არანორმალური ცხოვრების წესი, ცხოველური ვნების პროპაგანდა.

„ჯებირებს მიღმა გაზაფხულია“.

ჯანსაღი ცხოვრება, აზროვნება, სექსი, რომელიც ყველას გვაქვს, მაგრამ ეს არ გამოგვაქვს საჯაროდ. აქ არის სახარება, მორალი, უდიდესი სიყვარული, ნათელი აწმყო და მომავალი.

ჯებირებს შიგნით აგრესია და ძალადობაა! ბოროტი ძალადობა, რომელსაც ჩაგრულის მანტიაში ხვევენ.

ჯებირებს მიღმა თავდაცვაა!

რწმენის, წარსულის და მომავლის დაცვა...

დიახ, არის თავშეუკავებელი მოქმედება, მაგრამ ეს თავდაცვაა.

თუ ბავშვს შია, აქ „ღირსების მარში“ არაფერ შუაშია და ამ კადრების გამოტანა მდაბიო სპეკულაციაა.

ჯებირებს მიღმა გაზაფხულია. ჯერ ცივი, მარტის სუსხით, მაგრამ აპრილი გაისტუმრებს „ნასესხებს“ და ნამდვილი გაზაფხული დადგება.

დაბოლოს — დღეს 5 ივლისია. „პრაიდის“ დასკვნითი ეტაპის, ანუ „ღირსების მარშის“ დღე.

მივმართავ ამ „ღონისძიების“ მხარდამჭერ განცხადებაზე ხელმომწერი პოლიტიკური პარტიების წევრებსა და მათ მხარდამჭერებს:



— კეთილი ინებეთ და ღიად, გამჭვირვალედ დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია „ღირსების მარშის“ მიმართ.

— ან გამობრძანდით აღლუმზე შესაბამისი ატრიბუტიკით, ან საჯაროდ დაგმეთ და გაიწვიეთ ხელმოწერა!

გია გაბრიჭიძე

№ 147-148. ორშაბათი-სამშაბათი, 5-6 ივლისი, 2021 წელი.

თუ ხელისუფლებას არ ლანძღავ, ოპოზიციად არ მიიჩნევი!..

აშშ-ში გიორგი გახარიას ვიზიტი დასრულდა. **როგორც საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ თქვა, „საქართველოსთვის“ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კოალიციას გამორიცხავს და ეს გადაწყვეტილება მისი პოლიტიკური პარტიის პოზიციაა. თუმცა, ბოლო პერიოდში, აქტიურად მიდის საუბარი ექსპრეზიდენტისა და მთავრობის ყოფილი მეთაურის შესაძლო კავშირზე.** ერთი ნაწილი უბრალო დამთხვევას უწოდებს ცნობას იმის შესახებ, რომ გახარია და სააკაშვილი ვაშინგტონში ერთმანეთს შეხვდნენ, ნაწილი ექსპრემიერს „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კავშირში ადანაშაულებს.

„მინდა აბსოლუტურად ღიად, ყველას გასაგონად ვთქვა, რომ პარტია „საქართველოსთვის“ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ალიანსს არ და ვერ განიხილავს. ეს არის ჩვენი პოლიტიკური პოზიცია“, — ასეთია გიორგი გახარიას პასუხი.

მას შემდეგ, რაც გახარიამ პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დატოვა და საკუთარი პარტია დააფუძნა, მისგან „ქართული ოცნების“ მისამართით ისმის კრიტიკა. მისი თქმით, მმართველი პარტია „უსუსურია“ და პრობლემებს შესაბამისად ვერ უმკლავდება.

მსგავსი პოზიცია და იმ პარტიის ქილიკი, რომლის წევრიც უახლოეს წარსულში გიორგი გახარია იყო, მიუღებელია ანალიტიკოს **ამირან სალუქვაძისთვის**.

„ჩემთვის საერთოდ არ არის სასიამოვნო, რაც ხდება. საჭიროება იდგა პოლიტიკაში ახალი ძალების შემოსვლის, მაგრამ ჯერჯერობით, რასაც ვაკვირდები, ჩვენთან პოლიტიკური კულტურა და არასწორი ტრადიციები არის იმის მიზეზი, რომ პროცესები არასწორად ვითარდება. არ მომწონს, როდესაც გამოდიან თავისი დედაპარტიიდან და იწყებენ მის ლანძღვას. თუ ხელისუფლების ლანძღვას არ დაიწყო პარტიამ, ან ამ სახელისუფლებო პარტიიდან გასულმა პოლიტიკოსმა, მას არ უთვლიან ოპოზიციონერობას.

ჩვენ არ გვეუბნებიან, ვინ არიან პოლიტიკურ ველზე, რა ადგილს იკავებენ, — ცენტრისტები არიან, მემარცხენე, მემარჯვენე, რა იდეოლოგია აქვთ და ა.შ. — მე ეს მაინტერესებს. მინდა არჩევანი ამის მიხედვით გავაკეთო და არა იმით, ვინ უფრო ლანძღავს ხელისუფლებას. არ მომეწონა, რომ მისი (გახარიას) გადადგომით, ფაქტობრივად, ჩამოშლის პირას დადგა „ქართული ოცნება“, გამოიწვია დეზორიენტაცია მთლიანად „ქართული ოცნების“ ამომრჩევლის. როდესაც უკვე პროცესის მეორე ეტაპი დაიწყო და „ქართული ოცნება“ კიდევ ნ-მა დეპუტატმა დატოვა, მაშინაც შეიქმნა განცდა, თითქოს ეს მიიღებდა ჯაჭვურ რეაქციას და ჩამოშლას დაიწყებდა. არ მსურს წარსულში დაბრუნება და ეს ჩემთვის არის მნიშვნელოვანი. ჯერჯერობით ამ რეალობას, თუნდაც ახალი პარტიის შექმნით, ვერ ვხედავ.

საზოგადოებას უნდა მივცეთ საშუალება ახალი რესურსები გამონახოს. ვადამდელი არჩევნები აწყობს მხოლოდ მოქმედ პარტიებს, ისიც ყველას არა, რადგან ზოგიერთი მოქმედი საპარლამენტო პარტია ვერ გადალახავს ბარიერს. რატომ არის ჩვენთან საშიში, თუ რომელიმე მუნიციპალიტეტში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოიგო? — ამ ოპოზიციური პარტიების დაბალი კულტურიდან გამომდინარე, საბოტაჟი იქნება, სადაც ოპოზიცია მოიგებს. დღეს ისეთი სიტუაცია შეგვექმნა, რომ ყველაზე მარგინალური პარტიის წარმომადგენლები, ვგულისხმობ „გირჩს,“ უფრო დავარცხნილად ლაპარაკობენ, ვიდრე ეს უზარმაზარი პარტია, „ნაცმოძრაობა“, თავისი სატელიტებით“, — თქვა ამირან სალუქვაძემ.

კითხვაზე, რამდენად არის მოსალოდნელი, ვიხილოთ „ნაციონალური მოძრაობისა“ და გიორგი გახარიას ალიანსი, აღნიშნა, რომ ამის შესაძლებლობა არსებობს.

„დავუშვათ, წელს „ქართულმა ოცნებამ“ ვერ აიღოს 43%, შემდეგ წელს ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები და „ოცნებას“ დასჭირდეს კოალიცია, ამ შემთხვევაში ისმის კითხვა, ვის შეუკრავს კოალიციას გიორგი გახარია — „ქართულ ოცნებას“ თუ დანარჩენ, მთლიან ოპოზიციას? ამ კითხვაზე პასუხში გამოჩნდება ყველაფერი, ვის თამაშს თამაშობს. სრულიად შესაძლებელია კოალიცია შედგეს.

უნდა დაიწყოს ელემენტარული კულტურის ჩამოყალიბება პოლიტიკაში, მაგრამ სანამ თავად ექნებათ კომპლექსები, რომ თუ ხელისუფლება არ გალანძღეს, ოპოზიციად არ მიიჩნევიან, ჩვენ ყოველთვის ვიქნებით ფსკერზე“, — აღნიშნა ამირან სალუქვაძემ.

მსგავს კოალიციას არ გამორიცხავს ასევე ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია**. იგი იმის შესაძლებლობასაც უშვებს, რომ ვიხილოთ „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ალიანსი.

„ახალი კონსტიტუციით, საპარლამენტო მოდელის ისეთი პოლიტიკური სისტემა გვაქვს, ერთ პარტიას ეკარგება სრული მონოპოლია, როგორც ეს ადრე იყო. მგონია, რომ ვადამდელი არჩევნები მაინც შედგება და 43%-ს „ქართული ოცნება“ ვერ მიიღებს.

ალიანსური თუ კოალიციური პოლიტიკის კულტურა ახალი სტილია, რასთანაც ყველა პოლიტიკურ პარტიას მოუწევს შეგუება. კოალიცია შესაძლოა ისეთმა პოლიტიკურმა პარტიებმა შექმნან, რომ შემდეგ მოხდეს დაპირისპირება სხვადასხვა საკითხზე. როგორც ჩანს, ვაშინგტონში მიდის სერიოზული მუშაობა პროდასავლურ პოლიტიკური პარტიების არაფორმულურ გაერთიანებაზე, რომლებიც არიან ამერიკულ ვექტორზე ორიენტირებული.

კოალიცია დასჭირდებათ, არ გამოვრიცხავ „ნაცმოძრაობასთან“ კოალიციას, ან „ქართულ ოცნებასთან.“ ანდა, ვიხილოთ „ნაცმოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ გაერთიანება. კოალიციური პოლიტიკური კულტურა იქნება ჩვენი პოლიტიკური სისტემის განმსაზღვრელი ფაქტორი, თანაც შემდეგი არჩევნები ჩატარდება წმინდა პროპორციული მეთოდით და ბუნებრივია კოალიციური მთავრობის იდეა არის ქვაკუთხედი. ყველაფერია მოსალოდნელი“, — თქვა ვახტანგ მაისაიამ.

ნიკო ჩოხელი

რატომ ვერ შეძლო „ლელომ“ ლელოს გაჭანა?



მაშინ, როდესაც „ფანჩატურის ოპოზიციიდან“ პარლამენტში შესული სხვა პარტიები ცდილობენ „ნაცმოძრაობისგან“ გამიჯვნას, „ლელო“ პირიქით უფრო მეტად ეწებება მათ!..

ლელოს გაიტანს, ნიშნავს, რომ მიზანს მიაღწევს, თავისას გაიტანს, გაიმარჯვებს. **დიახ! სწორედ ასეთი შემართებით და პათოსით დაიწყო არსებობა ორი წლის წინ მამუკა ხაზარაძის და ბადრი ჯაფარიძის** შექმნილმა პარტიამ. **სიტყვა „არსებობა“ შემთხვევით არ გამოგვიყენებია. პარტია, რომელიც პოლიტიკურ არენაზე შემოვიდა ალტერნატიული „მესამე ძალის“ პრეტენზიით და ამბიციით, დღეს უბრალოდ არსებობს. დიახ, სწორედაც რომ „არსებობს“ ისე, როგორც ქვეყანაში მოქმედი უამრავი სხვა პარტია. „ლელომ“ არათუ ვერ შექმნა „ქართული ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ალტერნატივა, ის გადაიქცა „ნაცმოძრაობის“ სატელიტ პარტიად და დღეს საზოგადოების უმრავლესობისთვის სწორედ ასეთად აღიქმება.**

„ლელოს“ ქეისი იმითაც არის საინტერესო, რომ კარგად აჩვენებს, თუ რა შეიძლება აჭამო და გადააყლაპო ჩვენს ამომრჩეველს და რა ვერა. „ლელოს“ პრობლემაც სწორედ ის გახლავთ, რომ მათ ეგონათ, ამომრჩეველი ვერ მიხვდებოდა, თუ სინამდვილეში რატომ მოვიდა პოლიტიკაში ხაზარაძე-ჯაფარიძის დუეტი, რატომ მივიდნენ მათთან ის ხალხი, ვინც დღეს „ლელოს“ ბირთვს შეადგენს. „ლელოს“ ეგონა, რომ ადვილად აყლაპებდა ამომრჩეველს ე.წ. „მარშალის გეგმას“. არჩევნების შედეგებმა კი აჩვენა, რომ ამომრჩეველი „საპნის ბუშტებს“ და ბლეფს ასე იოლად მაინც არ ყლაპავს. სხვათა შორის, საარჩევნო კლიპებში „ლელო“ ირწმუნებოდა, რომ 250,000 რეგისტრირებული მხარდამჭერი ჰყავდა. ეს რომ სინამდვილე ყოფილიყო და არა ბლეფი, და არჩევნებზე 250,000-ის ნახევარსაც რომ მიეცა ხმა „ლელოსთვის,“ პარტია მეტ მანდატს მიიღებდა. თუმცა, ასე არ მოხდა და ვერც მოხდებოდა. შესაბამისად, „ლელოს“, რომელმაც სხვადასხვა წყაროს ცნობით, საკმაოდ დიდი ფული ჩადო არჩევნებში, სხვა რა დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ეყვირა „ტოტალურ გაყალბებაზე“?!

„ლელოს“, რა თქმა უნდა, ჰქონდა შანსი, რომ დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალის სახე და სტატუსი შეენარჩუნებინა, ნორმალურად შესულიყო პარლამენტში და ის ოთხი სადეპუტატო მანდატი მაქსიმალურად გამოეყენებინა პარტიის გაძლიერება-განვითარებისთვის. თუმცა პარტიამ „ფანჩატურის ოპოზიციაში“ ყოფნა და „ნაცმოძრაობის“ ორბიტაზე ტრიალი არჩია, რის შედეგადაც საკმაოდ ბევრი ამომრჩეველი დაკარგა.

მაშინ, როდესაც „ფანჩატურის ოპოზიციიდან“ პარლამენტში შესული სხვა პარტიები ცდილობენ „ნაცმოძრაობისგან“ გამიჯვნას, „ლელო“ პირიქით უფრო მეტად ეწებება მათ. ხომ გახსოვთ, როგორ წავიდნენ „ლელოს“ ლიდერები ბრიუსელში ნიკანორ მელიასთვის ევროპარლამენტარების თავდებობის მოსაპოვებლად, მაშინ, როდესაც თავად „ნაცმოძრაობას“ არ შეუწუხებია ამაზე თავი. „ლელოს“ მისია, როგორც მოსალოდნელი იყო, შეუსრულებელი აღმოჩნდა. დღეს „ლელოს“ ლიდერები აღარ იხსენებენ ბრიუსელში განცდილ ფიასკოს. არადა, ურცხვად იტყუებოდნენ, რომ მინიმუმ შვიდი ევროპარლამენტარის ხელმოწერა უკვე ჰქონდათ. „ნაცმოძრაობასთან“ ერთად აღებული ბოლო აკორდი კი გახლდათ ახალი საარჩევნო კოდექსის მხარდაჭერაზე უარი, თითიდან გამოწოვილი მიზეზებით. კიდევ არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, თუმცა საზოგადოება, ვისაც ფიქრი და განსჯა არ ეზარება, ისედაც კარგად ხედავს, თუ საით მიექანება „ლელო.“

ფაქტობრივად, ახალ „მესამე ძალაზე“ პრეტენზიის მქონე „ლელოს“ ნაცვლად, მის მხარდამჭერებს ხელში შერჩათ სააკაშვილის და „ნაცმოძრაობის“ კიდევ ერთი სატელიტი პარტია. საზოგადოების რეაქციაც შესაბამისია. „ლელოს“ რეიტინგი დღეს იმაზე უფრო უარესია, ან იგივე, რაც 2020 წლის არჩევნებზე — ის 1-2%-ს არ ცდება.

რას გააკეთებენ „ნაცმოძრაობა“ და „ლელო“ 2021 წლის ადგილობრივ არჩევნებზე მათთვის არასასურველი შედეგის დადგომის შემთხვევაში?! ზუსტად **იმას, რაც 2020 წელს — დაიწყებენ ყვირილს არჩევნების „ტოტალურ გაყალბებაზე“, აქცია-პერფორმანსებს, საელჩოებში სირბილს, ახალ „ფანჩატურში შეკრებას“ და ა.შ.**

ოღონდაც, „ლელოს“ როგორც პოლიტიკურ პარტიას ამით აღარაფერი ეშველება. მათ სხვების კარში ლელო ვერ დადეს, აი, საკუთარში კი — ბლომად.

ზაალ ანჯაფარიძე

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲜᲐᲜᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ: ᲩᲕᲔᲜ ᲖᲐᲠᲛᲐᲪᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘ ᲔᲠᲘ ᲕᲐᲠᲗ!

ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲘᲜᲤᲘᲪᲘᲝᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲖᲚᲕᲐᲕᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲢᲐᲚᲦᲐᲡ ᲛᲝᲛᲐᲡᲬᲐᲕᲔᲑᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲨᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲓᲐᲡᲬᲧᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ ᲛᲘᲘᲦᲝ. ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲭᲐᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲐ.

დღეს უკვე ქართველი ინფექციონისტები აცხადებენ, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში საქართველოში ტურისტების მიერ კორონავირუსის შემოტანის 400-ზე მეტი შემთხვევა დადასტურდა.

განსაკუთრებული სიფრთხილე ახლავს რუსი ტურისტების შემოშვებას. ევროპის ბევრმა ქვეყანამ აკრძალა მათი შეშვება რუსეთში დელტა შტამის მასობრივი გავრცელებისა და ვაქცინირებულთა გაყალბებული სერტიფიკატების გამო, რომელთა ღირებულებაც 15-დან 40 დოლარამდეა.

იმდენად არასანდოა რუსული სერტიფიკატი, რომ საბერძნეთში შესასვლელად რუს ვაქცინირებულ ტურისტებს ტესტირების გავლა ორჯერ მოუწევთ.

ეპიდემიოლოგთა ნაწილი რუსეთიდან საქართველოში შემომსვლელ ტურისტთა ორკვირიანი სავალდებულო კარანტინის მომხრეა, რათა რუსმა ვიზიტორებმა საქართველოში ეპიდემიოლოგიური ვითარება არ გაართულონ.

წელს რა შედეგის წინაშე აღმოვჩნდებით ტურისტული სეზონის დამთავრებისთანავე?

პულმონოლოგი **დავით ნანობაშვილი** მიიჩნევს, რომ:

ტურიზმის დახურვა არ შეიძლება ჩვენისთანა ქვეყნისთვის, რომელიც ძირითადად მარტო ტურიზმზე ცხოვრობს. რამდენადაც სამწუხარო არ უნდა იყოს, ჩვენ ვართ ზარმაცი ერი. გარდა სიზარმაცისა, არაპატრიოტი ერიც აღმოვჩნდით, ადამიანები გარბიან გერმანიაში მარწყვის მოსაკრეფად, როცა საქართველოში მარწყვი აქვთ მოსაკრეფი და არ კრეფენ, გარბიან თურქეთში თხილის მოსაკრეფად, როცა გურია და სამეგრელო თხილს მიაქვს. ამ დროს ვის რაში ვჭირდებით, როცა ერთი გერმანელი 20 ქართველზე მეტს მუშაობს?!

დავით ნანობაშვილის აზრით, თუ ჩვენს მთავრობაში პატრიოტიზმი გაიღვიძებს და აღსრულების პროცესი ადეკვატური იქნება, არანაირი პრობლემა არ ექნება ტურიზმს და ნებისმიერი ქვეყნის ტურისტის მიღება შეიძლება. პულმონოლოგი იხსენებს, რომ ამ რამდენიმე ხნის წინ სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებაზე მოუწია ყოფნა, სადაც ევროპის, ასევე, რუსი სპორტსმენები, მათი გულშემატკივრები იყვნენ და, პრაქტიკულად, არავის ეკეთა პირბადე, ეს ნიშნავს, რომ აღსრულების პროცესი არაადეკვატურია. ეს დაახლოებით ისეა, როგორც ადრე, როცა კომუნისტების დროს სტუმარს ყველაფრის უფლებას აძლევდნენ, ჩვენებს კი ტყავს აძრობდნენ.

„მესმის, რომ გერმანიამ აკრძალა რუსი ტურისტების მიღება, მაგრამ გერმანიას და მის ეკონომიკას ვერ შევედრებით. იმის არ იყოს, ტოკიოსთან განსხვავება გვაქვს დროში, 300 წელიო. ჩვენ ღატაკი და ზარმაცი ერი ვართ, ასარჩევად საქმე არ გვაქვს. ბათუმში კატასტროფა ვნახე, არავინ არ იცავდა კომენდანტის საათს, ღამის 1-ელ და 2 საათზე ხალხი დადიოდა ქუჩაში, ყვირილი, წივილი, არც პირბადე არ ეკეთათ, სადაც ვცხოვრობ, ვიღაცის დაბადების დღე იყო და ფოიერვერკი ისროლეს ეზოში, ღრეობა და ღრიანცელი მოაწყვეს. სამწუხაროდ, თურქები ახალისებდნენ ამ სიტუაციას. ერთ რამეს მივხვდი, რომ ჩვენი „კეთილმოსურნე“ მეზობლები ბევრ რამეს აკეთებენ იმისთვის, ტურისტი წაგვართვან. მას შემდეგ, რაც რუსულენოვანი ტურისტების დიდი ნაწილი დაიძრა ჩვენკენ, ჩვენი მთისა და ზღვის კურორტებზე, ბაკურიანში, გუდაურში, თურქები გააქტიურდნენ. ჩვენგან განსხვავებით, თურქები თავიანთი ქვეყნის იმდენად პატრიოტები არიან, როგორც კი დაინახეს, რომ ტურისტების გარკვეული ნაწილი დაკარგეს, ტურისტს გვართმევენ, ეს მიზანმიმართულად ხდება. ბათუმში ყოველ ნაბიჯზე დაინახავთ, ამას როგორ აკეთებენ თურქები. ნიღბებს არ იკეთებენ, ხალხში ყრიან ხმებს, პირბადე არ არის საჭირო. თავის დროზე უვარგისმა სააკაშვილმა 30 ათასამდე თურქს მისცა საქართველოს მოქალაქეობა. ისინი ჩასახლებულნი არიან აჭარის ტერიტორიაზე, ძირითადად ბათუმში, ჩვეულებრივი მოქალაქეები არ გეგონოთ, უმეტესი ნაწილი თურქული სპეცსამსახურების წარმომადგენლები არიან. ლიფტშიც შემხვდნენ და თურქულად ვკითხე, აქ რომ ცხოვრობ, ქართულად რატომ არ ლაპარაკობ, მაშინ წადი-თქო შენს ქვეყანაში, მიბღვერდნენ, ხმა არ გამცეს. თურქეთი აფინანსებს ამ ადამიანებს, სკოლებშიც ასწავლიან, რომ აჭარა თურქეთია“, — აცხადებს დავით ნანობაშვილი.

მისივე თქმით, რუს მეცნიერებს ასეთი მოსაზრება აქვთ, რომ კორონავირუსის ინდურმა ვერსიამ მუტაცია განიცადა, ამ ვირუსის მოსკოვური ვერსია კიდევ უფრო მძიმე ფორმით მიმდინარეობს, ვიდრე ინდური ვერსია და იმუნური სისტემა მთლად ვერ უმკლავდება. შეიძლება, ამის გამო რუსი ტურისტი არ მივიღოთ და მივიღოთ გერმანელი ან ინგლისელი ტურისტი, მაგრამ გერმანელმა და ინგლისელმა ტურისტმა მოსკოვური ვერსია მაინც რომ ჩამოგვიტანოს?! ამიტომ პანდემიას საზღვრები არ აქვს. მედიკოსი ამბობს, რომ ბოლო დროს ხშირად გვესმის, რუსს შეიძლება ჰქონდეს ვაქცინაციის სერტიფიკატი ნაყიდი, მაგრამ განა რამდენმა რუსმა შეიძლება იყიდოს ეს სერტიფიკატი, ან რატომ შეიძლება იყიდოს, თუ შეუძლია, უფასოდ აიცრას?

„რუსი ტურისტები ბევრად უკეთესად ხარჯავენ, წლების წინ გურიაში გავჩერდი, მოხუცი ბებია ყიდდა „ოდკას“, გამოხდილ არაყს და მითხრა, მეყიდება, ყველაზე კარგად რუსები ყიდულობენ, არ მევაჭრებიანო. თურქებს აკანკალებთ რუს ტურისტებზე, თურქეთში ტურისტული ადგილები მოვლილი მაქვს და ყველგან თურქებმა რუსულად დაიწყეს ლაპარაკი. ინგლისური, გერმანული არ იციან, მაგრამ რუსული იციან. ამ დროს ჩვენ თურქულ სერიალებს გვიჩვენებენ“, — ამბობს დავით ნანობაშვილი.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ

ᲧᲐᲚᲑᲘ ᲙᲝᲕᲘᲓ-ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲔᲑᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ!

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲒᲐᲣᲩᲜᲓᲐ — ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲥᲡᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲐᲚᲑᲘ ᲙᲝᲕᲘᲓ-ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲔᲑᲘᲗ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲡ.

სამართალდამცავების აზრით, ბევრ ადამიანს უცხოეთში წასვლა ან მასობრივ ღონისძიებებზე დასწრება სურს, თუმცა არ შეუძლია იმის გამო, რომ ჯერჯერობით აცრილი არაა — სწორედ ეს არის თაღლითების საქმიანობის მთავარი წამახალისებელი პირობა.

ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავე 1 ივლისის შემდეგ გახდა, როდესაც ძალაში ერთიანი ევროპული კოვიდ-პასპორტები შემოვიდა. მათი მფლობელებისთვის გახსნილია თავისუფალი გადაადგილება ევროკავშირის 27 ქვეყანაში.

ზოგიერთმა ქვეყანამ — გერმანიამ, ბულგარეთმა, ხორვატიამ, ჩეხეთმა, დანიამ, საბერძნეთმა და პოლონეთმა — ეს ინიციატივა ჯერ კიდევ 1 ივნისიდან აამოქმედეს. მათი მიზანია ტურისტული ბიზნესის გადარჩენა და ამ ტიპის პასპორტი მიეცემა მხოლოდ იმათ, ვინც ევროპის მიერ აღიარებული ვაქცინის 2 დოზა გაიკეთა — ესაა Pfizer, Moderna, Janssen და AstraZeneca-ს პრეპარატები.

შეღავათი არ გავრცელდება ინდურ, ჩინურ, რუსულ ან კუბურ ვაქცინებზე.

ან ეტაპზე გამოძიება დანაშაულებრივი ჯგუფის წინააღმდეგ ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ პარალელურად ვაქცინაციის ყალბი სერტიფიკატები უკვე ბრუნვაშია, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობას მნიშვნელოვანი ნაწილი ვაქცინებს არ ენდობა — მაგალითად, გერმანიაში, სადაც მოსახლეობის 40%-ს აცრა არ სურს.

საფრთხე ასევე ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებისგანაც მომდინარეობს — განსაკუთრებით რუსეთისგან, სადაც ბევრ მოქალაქეს ევროპაში ჩასვლა სურს, მაგრამ ეროვნულ ვაქცინას „სპუტნიკ ნ“-ს არ ენდობა და უპირატესობას ყალბ სერტიფიკატს ანიჭებს.

ამ დროს კი მოსკოვში და სანკტ-პეტერბურგში პანდემიის ახალი ტალღა დასტურდება, თანაც ამ შემთხვევაში კორონავირუსის უფრო გადამდები შტამი „დელტა“ დომინირებს. დღეს მოსკოვში ყალბი სერტიფიკატის შეძენა 200 დოლარადაა შესაძლებელი და თაღლითები მსურველთა სიმცირეს არ უჩივიან.

არალეგალური კოვიდ-პასპორტებით ვაჭრობა სრულიად ახალი მოვლენაა, თუმცა, მას წინ ყალბი პსრ-ტესტების ცნობების გაყიდვა უძღოდა. ამ კუთხით შავი ბაზარი ევროპაში ჯერ კიდევ თებერვალში გაჩნდა — ათასობით ტურისტმა ყალბი ცნობებით სამხრეთ ევროპის კურორტები მოიარა, და არავინ იცის, მათ შორის დაინფიცირებული რამდენი იყო.

არსად გამქრალა ვაქცინებით უკანონო ვაჭრობა — მხოლოდ ინდოეთის ქალაქ მუმბაიში თაღლითების მსხვერპლი 2000-ზე მეტი ადამიანი გახდა. პოლიციის მონაცემებით ვაქცინის ნაცვლად მათ ფიზიოლოგიური ხსნარი მიჰყიდეს, რის გამოც დაკავებულია 9 ადამიანი, მათ შორის ერთ-ერთი კერძო კლინიკის 2 ექიმი.

ამერიკულმა ფარმაცევტულმა გიგანტმა Pfizer-მა კი აპრილის ბოლოს დაადასტურა, რომ მისი ბრენდის ქვეშ ვაქცინების ნაცვლად გაურკვეველი სითხე მექსიკაში და პოლონეთშიც იყიდებოდა.

FOCUS: ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲡᲣ�პᲔᲠᲕᲐᲥᲪᲘᲜᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲜ

ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲗᲐᲒᲒᲕᲔᲑᲖᲔ ᲠᲜᲛ-ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ — ᲘᲡ ᲔᲑᲠᲫᲕᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠ ᲙᲝᲕᲘᲓ-19-Ს ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲨᲢᲐᲛᲔᲑᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲝᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲔ ᲕᲘᲠᲣᲡᲔᲑᲡᲐᲪ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲞᲐᲜᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲘᲡ.

ეს შესაძლებელი იქნება ჰიბრიდული ცილების გამოყენებით, რომლებიც სხვადასხვა კორონავირუსების თვისებებს აერთიანებენ. არსებული ვაქცინები „დამიზნებულია“ ვირუსის ზედაპირზე არსებულ ცილოვან ეკლებზე, რომლებიც მას ადამიანის თუ ცხოველის უჯრედში შეღწევის შესაძლებლობას აძლევენ და ასევე იმუნური სისტემის ამომცნობი მარკერის როლს ასრულებენ. ვინაიდან მუტაციების შედეგად ეკლები პერიოდულად იცვლებიან, მაღალია იმის რისკი, რომ დღეს არსებული ვაქცინები შესაძლოა ვირუსის შემდგომი სახეობების წინააღმდეგ ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდეს.

ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფი პროფესორ დევიდ მარტინესის ხელმძღვანელობით, იგივე პრინციპს იყენებს, რომელიც სხვა რნმ-ვაქცინების საფუძველში დევს — ისეთების, როგორც Pfizer/BioNTech და Moderna: ისინი ეკლოვან ცილას გამოიმუშავებენ და მათი დახმარებით ორგანიზმში იმუნიტეტის გამომუშავება ხდება.

ერთი ტიპის ცილოვანი ეკლის ნაცვლად ჯგუფი იყენებს ჰიბრიდულ ცილას, რომელიც რამდენიმე ტიპის ვირუსის თვისებებს აერთიანებს. მაგალითად, ერთ-ერთ ჰიბრიდში გაერთიანებული იყო კოვიდ-19-ის გამომწვევი SARS-CoV-2-ის და აპიტიური პნევმონიის მატარებელი SARS-CoV-ის თვისებები.

თაგვებს, რომლებმაც მიიღეს კომბინირებული ვაქცინა, გამოუმუშავდათ იმუნიტეტი ორივე ვირუსის წინააღმდეგ. გარდა ამისა, მათი ორგანიზმი დაცულია კოვიდ-19-ის სხვა შტამებისგანაც — მაგალითად, სამხრეთ აფრიკულისგან.

„ჩვენი კვლევების შედეგები ძალიან პერსპექტიულია სამომავლოდ, რადგანაც თუ ჩვენ შევძლებთ არა ერთი კონკრეტული, არამედ რამდენიმე კორონავირუსის წინააღმდეგ ერთი სუპერვაქცინის შექმნას, ეს იქნება შესაძლო ახალი პანდემიისგან დაცვის გაცილებით უკეთესი საშუალება“, — თვლის მარტინესი.

მისი თქმით, ამ გზით კაცობრიობა ჰიპოტეტური SARS-CoV-3-ს გაჩენის ალბათობას მკვეთრად შეამცირებს.

მოამზადა
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲐᲑᲚᲝᲗᲘᲐᲛ

ოკუპირებული მემკვიდრეობა

რა მოსდის ძეგლებს ომის შემდეგ

ლაშქენდარის ეკლესია — ადრე შუა საუკუნეები, ძ. ტყვარჩელის მიდამოები

რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე დღეს საკულტო დანიშნულების 151 ნაგებობა დგას. ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში ასეთი დაახლოებით, 556 ტაძარია.

ომების შემდეგ, დადგენილი პირობითი საზღვრების მიღმა დარჩენილი ტაძრების (მათ შორის მრავალი ძეგლის სტატუსს ატარებს) დიდი ნაწილი ან უკვე დაინგრა, ან ახლა ინგრევა და სავალალო მდგომარეობაშია, ან რუსული ყაიდის ტაძრების სტილით გადაღებილ- „რესტავრირებულია".

აი, მაგალითად, ეკლესია სოფელ ჭუბურხინჯში, 1992-1993 წლების რუსეთ-საქართველოს ომამდე:

და იგივე ეკლესია ომის შემდეგ:

ამ ტაძრების ძველი და ახალი ფოტოები (მათ შორის ნაწილი პირველად გამოქვეყნდა) ერთ წიგნად გაერთიანდა, რომლის სათაურია **„ოკუპირებული მემკვიდრეობა"**. ალბომზე მუშაობა და ძეგლებზე ინფორმაციის მოძიება რელიგიის საკითხთა სახელმწიფო საგენტომ დაახლოებით ოთხი წლის წინ დაიწყო და როგორც სააგენტოს დირექტორი, ზაზა ვაშაყმაძე შენიშნავს, ასე ეცადნენ საქართველოს ოკუპაცია და ანექსიის შედეგები ამ კუთხითაც ეჩვენებინათ.

ალბომში პირველად დაიბეჭდა ოკუპაციის შემდგომი პერიოდის ფოტომასალა, სადაც მრავალი საკულტო ნაგებობის დღევანდელი მდგომარეობაა ასახული. მათ გვერდითაა საარქივო ფოტოებიც, რაც შედარების საშუალებას იძლევა.

ფოტოებიდან ჩანს, რომ ზოგიერთი ტაძარი ძველი სახით ვეღარასოდეს აღდგება. იქ დღემდე გრძელდება უძველესი ქართული ტაძრების მისაკუთრების, მათი თვითნებური გადაკეთების, გადაღებვის, დაზიანებისა და განადგურების ტენდენცია.

წიგნის შესავალ ნაწილში ვკითხულობთ, რომ ეს განსაკუთრებით შეეხო — ცხინვალის რეგიონში: **ნიქოზის, ხეითის, სვერის, ქემერტის, თირის, აჩაბეთის, გომართას, თიღვას, წუნარის, ზღუდერის, გერის; აფხაზეთში — ილორის, დრანდის, ბიჭვინთის, ათონის, ანაკოფიის, ლიხნის, ამბარის, კაბენის, წებელდის ტაძრებს**.

„მძვინვარებს შავი არქეოლოგია, ვლინდება არტეფაქტების გაყიდვის შემთხვევები. ზოგან ქართული კვალის წაშლას ბულდოზერებითა და პნევმატური ჩაქუჩებით ცდილობენ. სიმბოლურია, რომ აფხაზეთში, ბედიის უძველეს (X ს.) მონასტერში, მისი ამშენებლის ბაგრატ მესამის გამოსახულება თეთრად გადაღებეს — ბაგრატ III ბაგრატიონი გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე იყო, რომელმაც ბედიის კომპლექსი „საყდრად საეპისკოპოსოდ" ააგო და იქვე დაიკრძალა", —

ვკითხულობთ წიგნის შესავალ წერილში.

აი, წმინდა გიორგის ეკლესია — XI საუკუნის ძეგლი, სოფელ ილორში (ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი) 1992-1993 წლების რუსეთ-საქართველოს ომამდე:

და იგივე ეკლესია ომის შემდეგ, 2010 წელს გადაკეთდა რუსულ სტილზე:

სააგენტოს მიერ მოკვლეული ინფორმაციით, ოკუპირებულ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შემორჩენილი 151 საკულტო დანიშნულების ნაგებობიდან — 145 მართლმადიდებლური ეკლესიაა.

89 ნაგებობის ამჟამინდელ მდგომარეობაზე მხოლოდ არასრულყოფილი ცნობები არსებობს. მათი დიდი ნაწილი სრულად დანგრეულია ან მძიმე მდგომარეობაშია. მხოლოდ ათამდე ნაგებობას არ ემუქრება დანგრევის საფრთხე.

ძარწეის ეს ეკლესია დღეს ასე გამოიყურება:

ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში აღნუსხულია 555 მართლმადიდებლური ეკლესია. მაგრამ ინფორმაცია არსებობს 267 ნაგებობის (266 ეკლესია და 1 სინაგოგა) შესახებ.

მათი დიდი ნაწილი არქეოლოგიურ ობიექტებადაა ქცეული, ხოლო დანარჩენებს უყურადღებობის გამო განადგურება ემუქრება.

ოკუპირებულ ცხინვალში, ყოფილი ქართული სკოლის ადგილზე, რუსული მართლმადიდებლური (ყოვლადწმიდა სამების სახელობის ეკლესია) ეკლესია მუშაობს. კიდევ ერთი, რუსული ტაძარი (წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის) მოქმედებს ცხინვალის „მოსკოვის დასახლებაში".

ორივე მშენებლობას ხელმძღვანელობდა მღვდელი, სერგეი კოკოევი, რომელიც ემორჩილება მოსკოვის საპატრიარქოს ვლადიკავკაზისა და ალანიის ეპარქიას.

ამავე ეპარქიის საიტზე განთავსებულ კოკოევის ბიოგრაფიაში პირდაპირაა ნათქვამი, რომ მღვდელი მონაწილეობდა 2008 წლის ომში ქართველების წინააღმდეგ და საბრძოლო ჯილდოებიც აქვს მიღებული.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე დღეს მხოლოდ ხუთი ქართველი სასულიერო პირი (1 მღვდელი და 4 მონაზონი), ერთი ტაძარი და ერთი დედათა მონასტერი მოქმედებს და ისიც — მხოლოდ ახალგორის რაიონში.

სამი წელი სრულდება, რაც ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტ ისაიას (ჭანტურია) ჩამოერთვა ახალგორში გადასვლის უფლება, სადაც იგი ღვთისმსახურებას აღასრულებდა.

ხელოვნებათმცოდნე გიორგი პატაშური ბოლო წლებში საგრძნობლად დაზიანებული ძეგლების ჩამოთვლისას იხსენებს, თუ როგორ ჩამოიშალა დრანდაში მეექვსე საუკუნის ემბაზი და როგორ აღადგინეს კაფელით.

მისივე შეფასებით, ძალიან ცუდ მდგომარეობაშია ბედიის ტაძარი, რომელსაც ადრეც სჭირდებოდა მიხედვა, ახლა კი, მოუვლელობის გამო, უფრო დაზიანდა.

გიორგი ასევე მოგვითხრობს, რომ ანაკოფიის ციხის ეკლესიაში არსებობდა კედელი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში რუსმა ბერებმა ააშენეს, გარშემო არსებული ეკლესიის ნანგრევების ორნამენტული და წარწერიანი ქვები შეაგროვეს და მათგან კედელი ააგეს, რომ ეს ქვები გადაერჩინათ. 2 წლის წინ ანაკოფიის ახლანდელი მუზეუმის დირექტორმა ეს კედელიც დაანგრია ვითომდა ქვების მუზეუმში გადატანის მიზნით. თუმცა მათგან რამდენი დაზიანდა და რამდენი ქვა გადარჩა, უცნობია.

გიორგი პატაშურის თქმით, ბოლო წლებში, უკვე აფხაზებიც აპროტესტებენ იქ მდებარე ტაძრების გადაკეთებას რუსული სტილით, მაგრამ ეს პროტესტი, ცხადია, სურათს ვერ ცვლის. საქართველოს ხელისუფლებას კი ამ ეტაპზე ქართული ძეგლების გადასარჩენად სხვა ბერკეტი არ გააჩნია.

ასე გამოიყურებოდა VI-VII საუკუნეების ეკლესია სოფელ დრანდაში (ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი) 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე:

და ასეთია ის დღეს — 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ გადაკეთდა რუსულ სტილზე.



P. S. ალბომში (და ამ სტატიაშიც) გამოყენებულია რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის, გიორგი ბაგრატიონის, ილია ჭკადუას, სალომე მელაძისა და ბადრი გასპაროვის მიერ მოწოდებული ფოტომასალა.

წარჩეს ნათლისღების ეკლესია — XIX ს., სოფ. წარჩე (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი)

ეკა ქევანიშვილი,
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.

„წმინდა ნინოს ჯვარი“

ქრისტიანული პოეზიის XI ფესტივალი

29 ივნისს, **თბილისის მერიის დაფინანსებით,** ჩატარდა ქრისტიანული პოეზიის XI ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“.

ფესტივალის მონაწილეებს მასპინძლობდა მწერალთა სახლი.

ღონისძიება გახსნა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ **ლია დაუშვილმა.**

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტმა ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის ფესტივალის მთავარი პრიზით — „წმინდა ნინოს ჯვარი“ დააჯილდოვა **ლერი ალიმონაკი.**

ლერი ალიმონაკი, ზაალ ბოტკოველი, ნინო ქუთათელაძე.

ქართული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის ფესტივალის მთავარი პრიზით — „წმინდა ნინოს ჯვარი“ დააჯილდოვა **ნინო ქუთათელაძე.**

ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ფესტივალის მთავარი პრიზით — „წმინდა ნინოს ჯვარი“ დააჯილდოვა **ქეთევან გაბრუაშვილი.**

ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ფესტივალის მთავარი პრიზით — „წმინდა ნინოს ჯვარი“ დააჯილდოვა **როზა კუხალაშვილი.**

ფესტივალის ჟიურიმ: **მამა ილია ჩიკვაიძე, ზაალ ბოტკოველი (თავმჯდომარე), ნინო ქუთათელაძე, მაია მიქაია, მარი თაბაგარი,** ფესტივალის მთავარი პრიზით — „წმინდა ნინოს ჯვარი“ დააჯილდოვა **ელდარ ჭიჭიაშვილი.**

ფესტივალის პრიზით — „წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი“ დაჯილდოვდნენ: **სოფია ქურასბედიანი, ია მერაბიშვილი, სალომე ლომინაძე, ალექსანდრე ჯინჭარაძე.**

ფესტივალის პრიზით — „წმინდა ნინოს ჯვრის მედალი“ დაჯილდოვდნენ: **ბადრი სულაძე, ალა დათუკიშვილი, სალომე გოგოლაძე, მაკა აბულაძე, ზურაბ ჭიოკაძე, ლელა გაფრინდაშვილი, დარეჯან ხვედელიძე, ზოია გრაფიშვილი, მარი სადღობელაშვილი, ემა მარგიანი, მანანა ჩაჩანიძე, ლეილა ინაშვილი.**

თეა წულუკიანმა ოსტატების რეესტრში ჩარიცხული სპეციალისტები წარადგინა

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა საზოგადოებას ოსტატების რეესტრში ჩარიცხული სპეციალისტები წარუდგინა. ამ ეტაპზე გასაუბრება 63-მა სპეციალისტმა გაიარა, რომელთაგან 34-ს კულტურის სამინისტროს მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ ძეგლთა დაცვის სისტემაში დასაქმების რეკომენდაცია მიეცა.

გასაუბრების შედეგად ოსტატების რეესტრში ჩარიცხულნი დამატებით პრაქტიკულ გამოცდილებას მიიღებენ და ერთწლიანი პერიოდის წარმატებით დასრულების შემთხვევაში — სერტიფიკატს.

აღსანიშნავია, რომ ოსტატების რეესტრში ჩარიცხვის მსურველთა განაცხადების მიღება 2021 წლის 6 მაისიდან 15 ივნისის ჩათვლით მიმდინარეობდა. სულ კულტურის სამინისტროში 253 განაცხადი შევიდა, საიდანაც გასაუბრება 63-მა კანდიდატმა გაიარა. წარმატებული ოსტატების რეესტრში ჩარიცხვა გრძელდება. ასევე, გრძელდება კანდიდატებთან გასაუბრება და სამინისტროს მიერ შექმნილი სპეციალური კომისია თითოეულ მათგანს გაესაუბრება.

ინფორმაციისთვის, ოსტატების რეესტრი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სათანადო ხარისხით დაცვის მიზნით შეიქმნა, ხოლო 2022 წლიდან მათი სერტიფიცირების სისტემა ამუშავდება. სამინისტროს მიზანია, რომ 2022 წლის/მაისიდან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მუშაობის უფლება ჰქონდეთ მხოლოდ იმ სპეციალისტებს, რომელთაც ექნებათ სერტიფიკატით დადასტურებული პროფესიული უნარები.

ოსტატების რეესტრში ჩარიცხვის მსურველებს გაესაუბრა პროფესიონალებით დაკომპლექტებული კომისია შემდეგი შემადგენლობით: **ტარიელ კიპაროიძე** (არქიტექტორ-რესტავრატორი), **მერაბ ბოჭოიძე** (არქიტექტორ-რესტავრატორი), **გოგოთურ მისრიაშვილი** (არქიტექტორ-რესტავრატორი), **ნიკოლოზ ზაზუნიშვილი** (არქიტექტორ-რესტავრატორი), **ნოდარ მინდორაშვილი** (არქიტექტორ-რესტავრატორი), **სპარტაკ ჯვარიძე** (სამუშაოთა მწარმოებელი, რესტავრატორი), **გიორგი ციციშვილი** (არქიტექტორი), **დავით ჯინჭარაძე** (არქიტექტორი), **ლაშა შარტავა** (არქიტექტორი).

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო მადლობას უხდის ამ ადამიანებს ოსტატების შერჩევის პროცესში მონაწილეობისათვის.

გურამ გაგოშიძე

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია რუბრიკით „ჭაშნიკი“ წარმოგიდგენთ ახალგაზრდა პოეტის **გურამ გაგოშიძის** შემოქმედებას და ამიერიდან წარმატებულ გზას უსურვებს.

გურამ გაგოშიძემ დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. დაოჯახებულია, ჰყავს ცოლი და ერთი ვაჟიშვილი.

გვერწმუნეთ, გურამის სიწრფელითა და მცოდნეობით გაჯერებული ლექსები პოეზიის მოყვარულთათვის სასიამოვნო საჩუქარი იქნება.

დრო მხოლოდ მიდის...

დრო მიდის ჩემო მეგობრებო,
მიდის და მიდის,
ძნელად ხერხდება გამთელება
ატეხილ ხიდის,
არ მოგატყუონ დრო მოვაო, სისულელეა,
დრო კი არ მოდის ძვირფასებო,
დრო მხოლოდ მიდის...
უნდა იბრძოლო, უნდა იყო
მუდამ ძლიერი,
არაფრის გამო არ დაკარგო შენი იერი,
დრო კი არა და უფალია ვინც
ნაღდად მოდის,
მაშინ მიხვდებით „ვინ მაძღარი და
ვინ მშიერი“...
მარტოობაში გადატანილ ამინდს და
ჰავას,
იქ მოგვკითხავენ როცა სული
სულეთში ავა,
დროს ნუ უყურებთ, დრო ჩაივლის
ასეა წესი,
არა აქვს აზრი, წამსვლელი ხომ
ხვალ მაინც წავა...
არა აქვს აზრი თუ თემიდა წონის და
ყიდის,
თუ არ ხერხდება გამთელება ჩატეხილ
ხიდის,
თავს ნუ ვიტყუებთ მეგობრებო,
„ეგ დროც მოვა“-ო,
დრო კი არ მოვა... დრო არ მოდის,
დრო მხოლოდ მიდის...

ქარი აშარი

ისევ ქარია და სტრიქონებს მირევს
აშარი,
მერცხლის ფრთებივით აფრთხიალდა
დილა სარკმელთან,
მოუსხამს მხრებზე დედამიწას ბაცი
თავშალი
და ყველა აზრი უაზროა ისევ
სათქმელთა,
გაცამტვერებულ იმედების გითვლი წამებად
და ველი იმას, რაც არასდროს ალბათ
არ მსურდა,
ჰოი განგებავ, ჩემი სულის
ტანჯვა-წამება,
იქნებ და მითხრა, ბოლობოლო რით
ვერ დასრულდა,
ვუმზერ გოლგოთას, ასევია პილატეს ჯარი,
ბრბო კი ხორხოცებს, საზეიმოდ სეირს
ელიან
და ორ ავაზაკს შორის მდგარი
მესამე ჯვარი,
უფრო მძიმდება, რადგან ახლა
ცარიელია...

შევცდი

დავიბადე და შევცდი,
გავიზარდე და შევცდი,
ავმაღლდი მაინც შევცდი,
მაინც ვერაფერს შევწვდი...
გზები ქრებიან ნისლში,
მზერას მიგუბებს ცეცხლი,
ვწევარ საკუთარ სისხლში
ვით ფიცის ჯამში ვერცხლი,
ვის რა მოვთხოვო აწი,
ან ვის მოგეცით რამე?
ტანჯვად მექცევა თვალწინ
ვიცი ეს ბოლო ღამე.
მაგრამ რა ვუყოთ, ყველას,
ჩვენ ჩვენი დაგვაქვს ბედი,
ამიტომ არ გთხოვთ შველას
ამიტომ არ მსურს მეტი!
ბოლომდე ვუძლო ერთობ,
სხვას ვეღარაფერს ვერ ვცდი,
შენ მაპატიე ღმერთო,
შენთან ხომ ახლაც შევცდი...

ხარ მიწა ჩემი

ნუთუ დაბერდი სამშობლოვ ჩემო,
გამოგერია ჭაღარა თმაში,
ნუთუ ულრიალი გაისმის უკვე
შენს „ლილეოს“ და „ჩაკრულოს“ ხმაში.
ერთი გოჯი ხარ, მაგრამ დიდი ხარ,
არ იწონები პატარა მისხლით,
განბანილი ხარ ღვთიურ ემბაზში
საკუთარ შვილთა ცრემლით და სისხლით,
ომებგანცდილი ხარ მიწა ჩემი,
ებრძოდი მონღოლს, შაჰსა და სულთანს,
ვიცი, დღეს სულ სხვა იარა გეწვის,
მაგრამ ნურაფერს მიიტან გულთან...
მუდამ ითმენდი გასაჭირს, ახლაც
ვინ იცის იქნებ გულში ტირიხარ,
მაგრამ არ შედრკე, ღმერთი გიშველის
შენ ღვთისმშობელის წილხვდომილი ხარ...

ის აღარ მოვა

ძნელია, როცა ტირილი გინდა,
ძნელია, როცა ტირილს ვერ ბედავ,
ძნელია, როცა სიცილი გინდა
და ამ სიცილის მიზეზს ვერ ხედავ.
ძნელია, როცა კვლავ გული გტკივა,
კვლავ ვეღარა გრძნობ ვერავის სითბოს,
ძნელია, როცა ხელებზე გცივა
და ლამაზ ხელებს არავინ გითბობს.
ძნელია, როცა თვალები სველი
ვერ იძინებენ, არ წყდება გლოვა,
ძნელია, როცა ვიღაცას ელი
და თან იცი, რომ ის აღარ მოვა!

მეხრესი...

ჩემს ჩოჩიალა ურემზე
რამდენი ფიქრი აწყვია,
გასწით ბებერო ხარებო,
გული თქვენ რაღად დაგწვიათ?
ვატაროთ ერთად ეს ტვირთი
განა ვინ შეგვეშველება,
სოფლის ბოლოა ფინიში,
მანამდე არ ღირს სვენება,
იქ კი ბოლოში როდესაც
ღმერთი სამსჯავროს გამართავს,
სულ სხვა მადლი აქვს იცოდეთ
ურმით მიტანილ სამართალს...
მე მაპატიეთ ხარებო,
ხანდახან თუ ვარ უხეში,
არ გამწყრეთ, არ მიმატოვოთ
მარტო ამ მწარე უღელში,
ეს ავი წუთისოფელიც
თანდათან როგორ ავდება,
მაგრამ მხნედ უნდა გავუძლოთ
სანამდე არ გათავდება...

მე, შენ და ღმერთი

და ბოლოს მაინც ვიქნებით ერთად
და ბოლოს მაინც ვიქნებით ერთი,
შევხვდებით მეცხრე ცის ნაპირებთან,
როგორც სამება — მე, შენ და ღმერთი...
შემხვდები თეთრი ღრუბლების კაბით,
მე კი შავ ნისლებს ჩავიცვამ მჯერა,
და გადაღლილი უთქმელი ამბით
მორცხვად შეხვდება ერთმანეთს მზერა
რომ ბრბოს მივენდეთ განწირულ
დროში,
ბრბო კი ჩაქოლვით კი არ გვახელებს,
უბრალოდ ის გკლავს როცა ამ ბრბოში,
ქვით ხელში ხედავ ნაცნობ სახეებს...
მაგრამ მჯერა რომ ვიქნებით ერთად,
ჩვენ მაინც ისევ ვიქნებით ერთი,
შევხვდებით მეცხრე ცის ნაპირებთან,
ბრბოს წინააღმდეგ, —
მე, შენ და ღმერთი!

პრეზიდენტმა ჯეიმს აპატურაი „ოქროს საწმისის“ ორდენით დააჯილდოვა

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ჯეიმს აპატურაის სახელმწიფო ჯილდო — ოქროს საწმისის ორდენი ორბელიანების სასახლეში პირადად გადასცა და გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა.

პრეზიდენტმა ჯეიმს აპატურაის ვიზიტის მნიშვნელობას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი და განაცხადა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი ქართული ჯილდო მხოლოდ იმ უცხოელებს ენიჭებათ, რომლებმაც სერიოზული და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს განვითარების საქმეში.

ჯეიმს აპატურაი:
ქართველები არ ნებდებიან!..

ამ ჯილდოს ვიღებ არა მხოლოდ ჩემი სახელით, არამედ ნატოსა და ყველა იმ ჩემი კოლეგის სახელითაც, რომლებმაც დიდი შრომა გასწიეს საქართველოსთვის და კვლავ ასე განაგრძობენ მუშაობას.

მინდა, სამ საკითხს გავუსვა ხაზი: პირველი, ძალიან დიდი მადლობა. მეორე, მსურს, გამოვეხმაურო იმ პროგრესს, რომელსაც თქვენმა ქვეყანამ მიაღწია და, რა თქმა უნდა, რადგან ჩემი ვადა იწურება, ვიხსენებ, როგორი იყო საქართველო, როდესაც პირველად ჩამოვედი აქ.

პირველ რიგში, ეს შესანიშნავი ვიზიტი იყო, რადგან ვფიქრობდი, რომ ეს ჩვეულებრივი დიპლომატიური ვიზიტი იქნებოდა, თუმცა შემდეგ დასრულდა მთებში დალევით. მე გავიაზრე, რამდენად სასიამოვნოა აქ ყოფნა, თუმცა შემდეგ ისიც გავიაზრე, რომ ამ ქვეყნის ხალხმა ცივილური არჩევანი გააკეთა — დასავლეთის ნაწილად ყოფნა. ეს პირველივე დღიდან დავინახე და დღესაც ვხედავ.

თუმცა ასევე, ნათლად ვხედავ, რომ საქართველო არსებითად წინ წაიწია ნატოს წევრობისაკენ და როგორც იცით, ზოგჯერ არის ნარატივი — ეს არ მუშაობს, ჩვენ ვერ შევდივართ, არაფერი ხდება, თუმცა, როდესაც დღეს საქართველოს ვუყურებ, ვხედავ მაღალპროფესიონალურ, გაწვრთნილ, გამოცდილ, თავსებად შეიარაღებულ ძალებს, ასევე, კარგად ფუნქციონირებად თავდაცვის სამინისტროს, კარგად ფუნქციონირებად დაზვერვის სამსახურს. ვხედავ ნატოს ობიექტებს საქართველოს ტერიტორიაზე, ყოველდღიურ წვრთნებს, ინსტიტუციების შენებას.

მესამე და ბოლო საკითხი, რაც მსურს აღვნიშნო, არის ის თუ რამდენად ვცემ პატივს და აღფრთოვანებული ვარ ამ ქვეყნითა და მისი ხალხით.

ძალიან მარტივი იქნებოდა სხვა გზის არჩევა, უფრო მარტივი გზის, რათა ამ რეგიონის უსაფრთხოების სირთულეები მოეგვარებინა და სხვა მიმართულებით შებრუნებულიყო, მაგრამ ქართველები ჩვენს ღირებულებებს იზიარებენ, სურთ ევროკავშირსა და ნატოსკენ სვლა.

და თუ რამე ვისწავლე ქართველების შესახებ, არის ის, რომ ისინი ჯიუტები არიან. ქართველები არ ნებდებიან, ისინი აგრძელებენ ბრძოლას, სანამ არ მიიღებენ იმას, რაც სურთ, რაც ამ შემთხვევაში დასავლური ოჯახის წევრობაა, არა მხოლოდ გაზიარებული ღირებულებების, არამედ ინსტიტუციების კონტექსტშიც.

როგორც თქვენ მთხოვეთ, მე გავაგრძელებ ამ ძალისხმევის მხარდაჭერას. მე ამის მჯერა. მჯერა, რომ საქართველოს სახლი ჩვენთან ერთადაა, თქვენ ჩვენი ოჯახის ნაწილი ხართ და ჩვენ — თქვენის...

ტყვეები ნაღმების რუკების სანაცვლოდ...

ნაღმების რუკების სანაცვლოდ, აზერბაიჯანმა სომხეთის 15 მოქალაქე, სამხედრო პირი გაათავისუფლა. ამის შესახებ რუსული მედია აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროზე დაყრდნობით წერს.

აზერბაიჯანის ინფორმაციით, რუსეთის ფედერაციის ინიციატივით, სომხეთმა აზერბაიჯანულ მხარეს, ფიზულინისა და ზანგილანის რაიონში განთავსებული 92 ათასი ნაღმის რუკები გადასცა. ამ ჰუმანური ნაბიჯის სანაცვლოდ, აზერბაიჯანმა სომხეთის 15 მოქალაქის ექსტრადირების გადაწყვეტილება მიიღო, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთა ჰქონდათ მისჯილი.

რუსეთმა უკრაინისთვის დაწესებული ემბარგო გააფართოვა

განახლდა სია, რომლის თანახმადაც უკრაინიდან რუსეთში შაქრის, მაკარონის, მაიონეზის, კეტჩუპის, ნაყინის, მინერალური და გაზიანი სასმელების, მუსლის, ბატიბუტის, კაკაოს პასტის, ცხოველის საკვებისა და კონსერვების ექსპორტი აიკრძალა.

აკრძალვა ეხება, როგორც უკრაინაში დამზადებულ პროდუქტებს, ასევე ამ ქვეყნიდან განხორციელებულ რეექსპორტს.

რუსეთის ხელისუფლება უკრაინისთვის დაწესებულ ემბარგოს თანდათან აფართოებს. 2016 წელს რუსეთმა ემბარგო დაადო უკრაინიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტების, კერძოდ ბოსტნეულისა და ყველის ექსპორტს. 2018 წლიდან რუსეთში უკრაინიდან კარაქის, შოკოლადის, ლუდის, ღვინისა და წვენების შეტანა აიკრძალა. ამ სიას მოგვიანებით დაემატა ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, გლუკოზა, ფრუქტოზა და რადიატორები.

ამასთან, 2016 წლიდან მოქმედებს უკრაინის ემბარგო რუსეთის პროდუქტებზე. „შავ სიაშია“ რძის პროდუქტები, ჩაი, ყავა, ალკოჰოლი, ხორბალი და ქაღალდი.

ნურსულთან ნაზარბაევის ძეგლი ყაზახეთის დედაქალაქში

ყაზახეთის დედაქალაქ ნურ-სულთანში ქვეყნის პირველი პრეზიდენტის, როგორც მას ყაზახეთში უწოდებენ, ერის ლიდერის ნურსულთან ნაზარბაევის ძეგლი გახსნეს.

ძეგლის გახსნის ოფიციალურ ცერემონიაში მონაწილეობა მიიღო პრეზიდენტმა ყასიმ-ჟომართ თოყაევმა, რომელმაც შეაქო ნურსულთან ნაზარბაევი „ყაზახეთის სახელმწიფოებრიობის განვითარებასა და ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის გაძლიერებაში შეტანილი ფასდაუდებელი წვლილისთვის“.

„იგი გახდა გადამწყვეტი ცვლილებებისა და მასშტაბური რეფორმების შემოქმედი და ჩვენი დამოუკიდებლობის სიმბოლო“, — დასძინა თოყაევმა.

ეს უკვე მეორე ძეგლია ნაზარბაევისა, რომელიც დედაქალაქში გაიხსნა. გასულ წელს ნაზარბაევის ძეგლი თავდაცვის ეროვნულ უნივერსიტეტში აღმართეს.

ნურსულთან ნაზარბაევის სახელს ატარებს საერთაშორისო აეროპორტი, რამდენიმე საგანმანათლებ-

ლო დაწესებულება, რამდენიმე ქუჩა სხვადასხვა ქალაქში, პარკები და სკვერები. 2019 წელს ყაზახეთის დედაქალაქ ასტანას პირველი პრეზიდენტის პატივსაცემად ნურ-სულთანი უწოდეს

სლოვაკეთმა რუსეთის ვაქცინა უკან დაუბრუნა

რუსეთმა სლოვაკეთისგან შეიძინა კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის Sputnik V-ის გამოუყენებელი დოზები, — ინფორმაციას სლოვაკური მედია ჯანდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით ავრცელებს.

„რუსეთს მივყიდეთ Sputnik V-ის 200 000 დოზიდან 160 000 გამოუყენებელი დოზა. ამ დოზების შენახვის ვადა იწურებოდა“, — განაცხადა ჯანდაცვის სამინისტრომ.

სლოვაკეთში რუსული ვაქცინის მიმართ უკიდურესად დაბალი ინტერესია, შესაბამისად მისი გახარჯვა ვერ მოხერხდა.

როგორც იუწყებიან, რუსეთმა თავისი ვაქცინები იმავე ფასად დაიბრუნა, რა ფასადაც გაყიდა. ვაქცინის დოზები უკვე გაიტანეს სლოვაკეთიდან. შეგახსენებთ, სლოვაკეთმა რუსეთისგან ვაქცინის 2 მილიონი დოზა თებერვალში შეიძინა. რუსული ვაქცინის შეძენას სლოვაკეთში საზოგადოებრივი პროტესტი მოჰყვა.

მიგრანტებით სავსე გემი ჩაიძირა

ტუნისის სანაპიროსთან მიგრანტებით სავსე გემი ჩაიძირა, რომელიც ლიბიიდან იტალიაში მიდიოდა. შემთხვევის შედეგად 43 ადამიანი დაიღუპა. მაშველებმა 84 მიგრანტის გადარჩენა მოახერხეს.

გემზე ეგვიპტის, სუდანის, ბანგლადეშისა და ერითრაის მოქალაქეები იმყოფებოდნენ, რომლებიც ხმელთაშუა ზღვის გავლით იტალიაში არალეგალურად მიემართებოდნენ.

ტრაგედია ფილიპინებზე

ფილიპინებზე, სულუს პროვინციაში, ხოლოში ჩამოვარდა სამხედრო თვითმფრინავი C130 Hercules-ი, რომელშიც, სულ მცირე, 85 ადამიანი იყო.

არსებული ინფორმაციით, შემთხვევის ადგილას 16 ცხედარი იპოვეს, მაშველებმა 40-ზე მეტი ადამიანის გადარჩენა შეძლეს, დანარჩენებს კი ამ დრომდე ეძებენ.

თვითმფრინავით მგზავრობდნენ ჯარისკაცები, რომლებიც ქვეყნის სამხრეთით, ისლამისტ მებრძოლებს, მათ შორის — აბუ საიაფის ჯგუფს უპირისპირდებიან.

„ყოველთვის სულ იმის ცდაში ვარ, რომ ადამიანში, ქალშიც და კაცშიც, უწინარესად, ხასიათის საუკეთესო თვისებები დავინახო“,



— აგრე იტყოდა ზიგმუნდ ფროიდი

ქართულად გადმოაქნა
გურამ გოგიაშვილმა

თავი 12

ადამიანები და ურთიერთობანი

* * *

კულტურულ ადამიანთა სრული უმრავლესობა, თავზარდაცემული ეგრეთვე დაბარბაცდებოდა, უკეთუ გაიგებდა მკვლელობის ანდა ინცესტის ამბავს რასმე, თუმცაღა ამავე დროს ის ადამიანები ხელიდან არ უშვებენ თავიანთი სიხარბის დაკმაყოფილების არც ერთ შემთხვევას, თავიანთი სექსუალური ვნების გვერდის ავლას, თუ მიეცათ საშუალება უკან არ დაიხევენ, სხვა ადამიანთ აზნევენ ტყუილით, ცილისწამებით, ჭორჭურით, თუ, რასაკვირველია, სასჯელის შიში არა აქვთ და ეს გრძელდება არაერთი კულტურული ეპოქის მთელ სიგრძეზე.

* * *

ზოგიერთ ადამიანს, საკუთრივ, ძალუძს თავის გრძნობათა ნაკადიდან უღრმეს გამონათებათა გამოჩხრეკა, ჩვენ კი, სხვა ადამიანთ, ამ გამონათებათა მისაგნებად თუ მოსაპოვებლად მტანჯველი ურწმუნობისა და ხელების ცეცებით დაუცხრომელი ძებნა გვიხდება.

* * *

ადამიანები მანამ არიან ძლიერნი, სანამ დიად იდეას იცავენ; უსუსურნი არიან, როცა ამ იდეის წინააღმდეგ მიდიან.

* * *

ამჟამად ადამიანებმა ისე შორს გაიწიეს ბუნების ძალთა დამორჩილებაში, რომ ამ ძალთა მეოხებით სულ იოლად შეუძლიათ ერთმანეთის განადგურება თვით უკანასკნელ ადამიანამდე. თანაც არ იციან, სწორედ ამ ცოდნიდან გამომდინარეობს იმათი ამჟამინდელი მოუსვენრობა, უბედურება, შიშისზარის გრძნობა.

* * *

სუყოველმა ჩვენგანმა შეიგნო, რომ რა მოლოდინებსაც სიყმაწვილეში ჩვენს თანამოქალაქეთ ვუკავშირებდით, ილუზიებივით უნდა მოგვეშორებინა და გვეგრძნო, თუ რაოდენ გაუძნელდათ ცხოვრება და რარიგ დაიტანჯნენ არაკეთილმოსურნეობისთვის.

* * *

უკეთუ წარმატება ზუსტად შეესაბამებოდა დამსახურებას, მაშინ გულითადი დამოკიდებულება ადამიანთა შორის, ალბათ, დაიკლებდა.

* * *

სხვისი მხარდამჭერი ადამიანი თავად ძლიერდება და რწმენაც ემატება იმის გამო, რაკი კეთილი საქმე ქმნა. ესეგვარად მან თითქოს სულიც აღიმაღლა.

* * *

...სათნოება, სამყაროს უსამართლობის თუნდაც ნაწილს რომ იღებს თავის თავზე და მეგობარს ქვეცნობიერად აშორებს იმას, ან იქნებ შეგნებულადაც იმედოვნებს, რომ ეგრევე მოექცევიან თვითონაც.

* * *

სიყვარული იმ მამაკაცსა და ქალს შორის ურთიერთობაა, რომლებიც ოჯახს ქმნიან თავიანთ სქესობრივ მოთხოვნილებათა საფუძველზე, თუმცაღა სიყვარული კეთილგრძნობებია დედ-მამასა და შვილებს შორის, ძმებსა და დებს შორის ოჯახში, თანაც კიდევ ეს ურთიერთობანი უნდა დავახასიათოთ როგორც მიზნისგან ჩამოცილებული სიყვარული, როგორც სინაზე.

* * *

სუყველას თავისი თავი „განსაკუთრებული“ ვინმე ჰგონია და უპირატესობას აცხადებს სხვა ადამიანთა მიმართ.

* * *

სხვანი არ უნდა შეაღონო, თუ იმათი პატივისცემის მოპოვება გადაგიწყვეტია.

* * *

ამ ქვეყანაზე იმდენი ადგილია, რომ ვისაც როგორ უნდა ადგება და ისე იხეტიალებს, ოღონდ არასასურველია სულ ერთ ჭერქვეშ ცხოვრება, როცა ადამიანებს უკვე აღარ ესმით და ვეღარც იტანენ ერთიმეორეს.

* * *

შეხება ყოველივეს დაუფლების, ადამიანის, ანდა რამე საგნის დამორჩილების ცდას ნიშნავს.

* * *

ეჭვს არ იწვევს, რომ ფსიქოლოგიური ვითარების თვაოსაზრისით სიდედრებსა და სიძეებში რაღაც ისეთია ჩაბუდებული, იმათ შორის მტრობას რომ უწყობს ხელს და უძნელებს თანაცხოვრებას.

* * *

უეჭველია ზეგავლენა, რის პროგრესული დაუფლებაც ბუნების ძალთაგან ადამიანთა სოციალურ ურთიერთდამოკიდებულებაზე მოქმედებს, თანაც ამავე დროს აგრესიის სამსახურში აყენებს ახალ შეძენილ ძალაუფლებას და ერთიმეორის საწინააღმდეგოდ იყენებს.

* * *

ცნების არსი, რასაც სიყვარულად ვსაზღვრავთ, ის არის, საერთოდ სიყვარულს რომ უხმობენ და პოეტები რომ უმღერიან და ა.შ. სქესობრივი სიყვარულია, რასაც მიზნად სქესობრივი შეწყვილება აქვს. ოღონდ ამა ცნებისგან არ გამოვყოფთ არცრას იმას, რაც რომ სიტყვა სიყვარულის თანაზიარია: ერთი მხრივ, თავმომწონეობა თუ თავკერძობა, მეორე მხრივ, მშობლებისა და შვილების, მეგობრებისა და საერთო საკაცობრიო სიყვარული, აგრეთვე ნიშანდობლივ საგანთა და განყენებულ იდეათა ერთგულება.

* * *

ჩვენს ყოვლის უფრორე გულითად, ყოვლის უფრორე გულწრფელ ჩვენს ამა თუ იმ დამოკიდებულებას, გამოვრიცხავთ რა არცთუ ისე მცირ ვითარებას, ყოველთვის ახასიათებს მტრობის უძლიერესი ხარისხი, რაიც უბიძგებს სიკვდილის შეუცნობელ წადილს.

* * *

სიყვარული, რეალური მოთხოვნილების თანაბრად, დიდი აღმზრდელი ძალაა, სიყვარული ყოვლის უფრორე ახლობელ მოყვასთ აგულიანებს, რომ უზრდელმა ადამიანმა გაითვალისწინოს აუცილებლობის ბრძანება თუ კარნახი და თავიდან აიცილოს ამ ბრძანებისა თუ კარნახის შეუსრულებლობისა გამო მოსალოდნელი სასჯელი.

* * *

როგორც რომ ცალკეული ადამიანის, ისევე მთელი კაცობრიობის განვითარებაში სიყვარული კულტურული ფაქტორის ხარისხით ხელს უწყობდა ეგოიზმის შემობრუნებას ალტრუიზმისკენ.

* * *

თავდაპირველად სიტყვით უთმობენ, მერე თანდათან საქმეზე გადადიან.

* * *

შეიძლება რომ კმაყოფილი დარჩე, უკეთუ პატიოსნად უძღვები შენს საქმეს და მსაჯობას არ ცდილობ, რაიც შორეული მყოობადი ხდება.

თავი 13

მამაკაცი და ქალი

სიყვარული თავისთავად მთელი თავისი სევდითა და ტანჯვით აუკეთურებს გუნება-განწყობილებას, მაგრამ თუ ვისმე უყვარხარ, სიყვარულში ზიარ გრძნობას ნახულობ და შენი საყვარელი საგანი შენია – ეს სუყოველივე კვლავ გიმაღლებს გუნება-განწყობილებას.

* * *

ის უყვართ, რასაც ის თვისებები აქვს, რომელთაც არ ჰყოფნით „მე“ თავისი იდეალის მისაღწევად.

* * *

ვინც დაეჭვებულია თავის სიყვარულში, ალბათ, სუყველაფერი დანარჩენი უნდა აეჭვებდეს, არცთუ მნიშვნელოვანი.

* * *

ერთი მხრივ, სიყვარული ეწინააღმდეგება კულტურის მიზნებს, მეორე მხრივ, კულტურა სიყვარულს მნიშვნელოვანი შეზღუდვებით ემუქრება.

* * *

სიყვარულის ერთ-ერთმა ფორმამ სექსუალურმა სიყვარულმა დაგვანახვა ბედნიერებისკენ ჩვენი სწრაფვის პირველსახე, გვაზიარა რა შემაძრწუნებელი ნეტარების უძლიერეს გამოცდილებას.

* * *

ტანჯვის წინაშე არცროდის იმდენად უმწეონი არა ვართ, ვიდრე მაშინ, როს გვიყვარს ვინმე: არცროდის იმდენად უსასრულოდ უბედურნი არა ვრჩებით, როგორც რომ საყვარელი არსების ანდა იმის სიყვარულის დაკარგვისას.

* * *

იქნებ უმაღლესი საზოგადოებრივი წრის მამაკაცთა ესეგვარი ხშირი მიდრეკილება საყვარლის ანდა წოდების ქალთაგან კანონიერი ცოლის არჩევა, დამცირებული სქესობრივი საგნის ოდენ მოთხოვნილების გამოხატულებაა, რომელ საგანთანაც ფსიქოლოგიურად დაკავშირებულია სრული დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

* * *

სასიყვარულო მოთხოვნილების ფსიქოლოგიური ნიშანდობლიობა ერთბაშად ეცემა, როგორც კი დაკმაყოფილება ნამეტანი მისაწვდომი ხდება.

* * *

საბაც დაკმაყოფილებისთვის ბუნებრივი დაბრკოლება არასაკმარისია, იქ ადამიანები სუყოველ დროს ხელოვნურად აძნელებენ საქმეს, რათა სიყვარულით ტკბობის გარემოებაში აღმოჩნდნენ.

* * *

სიყვარულმა უმაღლეს აზრს მიაღწია ასკეტურ ბერებთან, რომელთა ცხოვრებაც პრაქტიკულად სავსე იყო ლიბიდოური ცდუნებისადმი განსაკუთრებული დაპირისპირებით.

* * *

გენიტალიებს ადამიანის მთელ ტან-სხეულთან ერთად ესთეტიკური სრულყოფილების გზა არ გაუვლიათ, ისინი ცხოველებად დარჩნენ და ამიტომ, სიყვარულიც თავისივე ლიბო-საფუძველში ახლაც იმდენადვე ცხოველურია, როგორიც დაწყივ იყო.

* * *

საშინელებაა, როცა ორ მოსიყვარულე გულს ვერ უპოვნია, ვერც ღირსეული რამ ფორმა, ვერც დრო ალერსისთვის, თითქოსდა სინაზეს უფრთხილდებიან მოულოდნელი უბედურების ან დაავადების შემთხვევისთვის, როცა თვით ვითარება იძულებულს გახდის ამისთვის. არ შეიძლება სინაზის მიმართ სიძუნწე, რაც რომ მეტს ხარჯავ, მით უფრორე ივსება სხვით.

* * *

...შეყვარებულობა სექსუალურ არსებას სექსუალური იდეის დონემდე ამაღლებს.

* * *

ქალის მიმართ სიყვარული ძლევს რასისადმი მასობრივ ერთგულებას, ეროვნულ ჩარჩოებს, სოციალურ კლასობრივ ტიხარს და ამისდა წყალობით მნიშვნელოვან კულტურულ ამოცანას ასრულებს.

* * *

შეყვარებულობისას არსებობს ოდენ „მე“ და ობიექტი.

* * *

ძველ დროში და ჩვენს დროსაც, სასიყვარულო ცხოვრების ყოვლის უფრორე არსებითი სხვაობა ის არის, რომ ანტიკურ სამყაროს ყურადღება გადაჰქონდა თვით ლტოლვაზე, ჩვენ კი ლტოლვის საგანზე გადაგვაქვს.

* * *

კათოლიკურ ეკლესიას დამაჯერებელი საფუძველი ჰქონდა, რომ მორწმუნეთათვის დაუქორწინებლობა ერჩია და თავის მღვდელმსახურთათვის ცელიბატი დაედო, მაგრამ შეყვარებულობა ხშირადრე სასულიერო პირთათვისაც ეკლესიიდან გასვლის ბიძგი იყო.

* * *

როს საყვარელი არსება მეგობარიც ხდება, ეს იმას აღამაღლებს.

* * *

თუ სიყვარული პირველად მოდის, ძნელია გარჩევა, ნამდვილია თუ არა.

* * *

ღრმა გრძნობის ადამიანებს მხოლოდ ერთხელ ძალუძთ სიყვარული.

* * *

ძალიან ხშირადრე შეყვარებულობა სხვა არა არის რა, თუ არა სულიერის სექსუალური ლტოლვის მხრიდან პირდაპირი სექსუალური დაკმაყოფილების უნარის შეძენა, თანაც კიდევ ამ მიზნის მიღწევით შეყვარებულობა არარავდება; ამას ღალატი, გრძნობიერი სიყვარული ჰქვია.

* * *

ენოგრივი პრაქტიკა, თუნდაც ჭირვეული, ფსტანი რეალობის ერთგული რჩება. თუმცაღა ის „სიყვარულს“ ეძახის ყოვლის უფრორე ნაირგვარ ემოციურ ურთიერთობებს, რასაც ჩვენც თეორიულად ვაერთიანებთ სიყვარულის ცნებაში, მაგრამ ის მერე ეჭვდება, არის თუ არა ეს სიყვარული ნამდვილი, სწორი, ჭეშმარიტი; ის სასიყვარულო გამოვლინებათა არაერთ გამოვლინებაზე მიგვითითებს.

* * *

რწმენა, გულდაჯერებულობა, რომ სულ ახლახან გაწელებული მოთხოვნილების ახალი გაღვიძება ვივარაუდოთ, ცხადია, იმის უახლოესი მიზანი უნდა იყვეს, რა არის სექსუალური არსების მიმართ ხანგრძლივ ლტოლვასა განვიცდიდეთ, რათა ის ისევე „გვიყვარდეს“ ვნებისგან თავისუფალ შუალედებში.

* * *

მორჩილების ფაქტებს, ნარცისიზმის შეზღუდვას, საკუთარი მიზნების დაუცველობას ვხვდებით შეყვარებულობის სუყოველ შემთხვევაში.

* * *

სასიყვარულო დაბრმავებისას ადამიანი უნანიებელ დამნაშავედ იქცევა.

* * *

შეყვარებულობა, ჩანს, ჰიპნოზს ჩამოჰგავს. ორსავე მდგომარეობას შორის მსგავსება თვალსაჩინოა; იგივე მორჩილი დახელქვეითება, დამყოლობა, ჰიპნოზიორის, ანუ მაოცარის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების უქონლობა, როგორც რომ სოყვარკლი არსების მიმართ, იგივე პირადი თაოსნობის უქონლობაა.

* * *

საყვარელ არსებაზე დამოკიდებულება დამჩაგვრელ-დამამცირებელ ზეგავლენას ახდენს: შეყვარებული დათრგუნულია.

* * *

გრძნობებისმიერი სიყვარული დაკმაყოფილებისთანავე ცხრება; რომ გაგრძელდეს, თავიდანვე უნდა შეერიოს წმინდა, ნაზ, ეგრეთ წოდებულ, მიზნის თვალსაზრისით, დამუხრუჭებულ არაერთ ლტოლვას ანდა უნდა გაიაროს ესეგვარი შერევა.

დასასრული. დასაწყისი იხ. №58, 65-66, 69-70, 71-72, 79-80, 89-90, 99-100, 103-104, 139-140, 141-142

◎ ბატუტზე ხტომა

ორი ვერცხლით დაბრუნდნენ

საქართველოს ოთხი წარმომადგენელი (ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ზაურ სულაშვილი,** მწვრთნელები – **ირმა სოლოღაშვილი** და **ლუდმილა გოლოვინა,** მსაჯი – საერთაშორისო არბიტრი **რუსუდან ხოფერია,** რომელიც წლეულს ზედიზედ მეორედ მიიწვიეს ოლიმპიურ თამაშებში) ასპარეზობდა ტანვარჯიშის მსოფლიოს ფესტივალსა და ბატუტზე ხტომაში მსოფლიოს თასზე, რომლებიც პორტუგალიის ქალაქ კოიმბრაში გაიმართა. 16-წლამდელ გოგონათა შორის მსოფლიოს ფესტივალში **მარიამ რაგიმოვამ** 37 მონაწილეს შორის ჯერ საკვალიფიკაციო ეტაპზე იყოჩაღა, შემდეგ კი ფინალში 51.300 ქულით ვერცხლის მედალი მოიპოვა. ჩვენებურს მცირედით გაუსწრო ახალგაზრდებში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ანჟელა ბლიაცევამ (რუსეთი), 50.290 ქულით კი მესამე იყო გერმანელი აურელია ეისლოფელი.

უფროსი ასაკის (17 წელს ზემოთ) გოგონებში საქართველოს ნაკრების ორმა წევრმა იასპარეზა – **ანანო აფაქიძემ** და მარი სულთანოვამ. აფაქიძემ კოიმბრაში გამგზავრებამდე ტრავმა მიიღო და ამის მიუხედავად, საკვალიფიკაციო

ეტაპზე მეოთხე ადგილი დაიკავა, ხოლო გადამწყვეტი პაექრობისას 52.210 ქულით ვერცხლის მედალი ხვდა. არადა, მან ყველა კომპონენტში დაჯაბნა მასპინძელი ინგრიდ მაიორი, რომელიც 52.570 ქულით პირველ ადგილზე გავიდა. უბრალოდ, ანანომ ფეხის ტრავმის გამო ბატუტზე უნაკლოდ დახტომა ვერ შეძლო. 51.640 ქულით მესამე იყო ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი დარია ნაზუკოვა (რუსეთი). დაბიუტანტი მარი სულთანოვა (საქართველო) მეათე ადგილით დაკმაყოფილდა..

მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე ლუბა გოლოვინამ მესამე ადგილი დაიკავა, მაგრამ ფინალში ტრავმის გამო ვარჯიშის დასრულება ვერ შეძლო.

ლექსო ცინცაძე

◎ მოვლენა

ღირსების ტაიმი

შიშს დიდი თვალები აქვსო, კია ნათქვამი, მაგრამ როცა სტუმრად მსოფლიო თასის მოქმედ მფლობელს ეთამაშები, თითქოს ფსიქოლოგიური ტვირთი მოხსნილი გაქვს, რადგან ვერავინ გაგამტყუნებს მრისხანე მეტოქესთან ერთი შეხედვით დიდი ანგარიშით დამარცხებისათვის – მთავარია, შენ შენსას ეცადო და სარბიელზე, რომ იტყვიან, ძვლები დადო.

პრეტორია. „ლოფტუს ვერსფილდი“ სამხრეთ აფრიკა – საქართველო 40:9
პირველი ტაიმი – 19:9

პანდემიის გამო „ბოკე“ ორწლიან იზოლაციაში ჩაიკეტა და უარი თქვა როგორც 4 ერზე, ისე საკლუბო ზე რაგბიზე, უკანასკნელი ტიტულის მოპოვების შემდეგ კი პირველ სპარინგში მიწვევის პატივი „ბორჯღალოსნებს“ მიაგო და „ბრიტანელ ლომებთან“ ტესტირების სერიისთვის მოსამზადებელ შეხვედრაში ერთბაშად 18(!) ტრიუმფატორით გაძლიერებული შემადგენლობა დაგვახვედრა.

სტუმართა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ფავორიტის სასტარტო შტურმს ღირსეულად გაუმკლავდნენ და 9:5 დაწინაურდნენ კიდეც...

„აღსანიშნავია ჩვენი გუნდის მიერ გამოჩენილი ბრძოლისუნარიანობა, რის გამოც, ცალკეული შეცდომების მიუხედავად, ბიჭებისადმი სასაყვედურო ბევრი არაფერი მაქვს“, – განაცხადა მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების თავკაცმა **ლევან მაისაშვილმა.**

მართლაც, მასპინძლებს ტაიმზე მეტი დრო დასჭირდათ საკუთარი ხელწერის მისაგნებად, კლასი კი, დაგვეთანხმებით, ისეთი რამაა, ადრე თუ გვიან მთებსაც გადაგადგმევინებს კაცს.

თუ როგორი დასკვნები გამოვიტანეთ პირველი გაკვეთილიდან, 9 ივლისს გამოჩნდება, როცა იოჰანესბურგში „სპრინბოქსს“ მეორედ შეევებმებით.

◎ ევრო – 2020

ამბიციური კვარტეტი

აქამდე გამართულ 22 შეხვედრაში შვეიცარიამ ერთადერთხელ – 2010 წლის მუნდიალის ჯგუფური რაუნდის სტარტზე დაამარცხა ესპანეთი – 1:0, თუმცა ის ფორუმი პირენეელთა ტრიუმფით დასრულდა.

პეტკოვიჩის გუნდი ამჯერადაც – ევრო – 2020-ის მეოთხედფინალურ მატჩშიც ახლოს იყო მიზანთან, როცა პენალტების სერია ბუსკეტსისა და ძელის კონტაქტით გაიხსნა, მაგრამ შემდეგ საქმეში ფავორიტის მეკარე სიმონი ჩაერია და პარტნიორებს მოაგებინა – 3:1 (ძირითადი და დამატებითი დრო – 1:1).

მიუხედავად უარყოფითი შედეგისა, დამარცხებულნი თავაწეულნი ბრუნდებიან სამშობლოში, რადგან, გარდა იმისა, რომ წინა პლეი-ოფში თვით ფრანგებთან ჩაიდინეს სპორტული გმირობა, ამჯერადაც ღირსეულად გაუმკლავდნენ არაერთ პრობლემას: აკლდათ დისკვალიფიცირებული ლიდერი ჯაკა; პირველ ტაიმშივე შესაცვლელი გახდა ტრავმირებული წამყვანი თავდამსხმელი ემბოლო; 77-ე წუთიდან მოყოლებული, მინდვრიდან საყრდენ ნახევარმცველ ფროილერის გაძევების გამო, რიცხვნაკლულნი ვაჟკაცურად იგერიებდნენ ტურნირის ყველაზე შედეგიანი მონაწილის გამუდმებულ იერიშებს და, ყველა სიკეთესთან ერთად, უკვე მე-8 წუთიდან მდევრის როლში აღმოჩნდნენ ჯაკას დუბლიორ ზაკარიას ავტოგოლის შედეგად.

მართალია, ზუსტად ერთ საათში შაჩირიმ ანგარიში მეტოქის მცველთა ასევე უხეში შეცდომის დახმარებით გაათანაბრა, მაგრამ ეს ფაქტი ოდნავადაც არ აკნინებს წაგებულისგან მთელი მარათონის განმავლობაში მიღებულ დადებით შთაბეჭდილებებს.

რაც შეეხება ლუის ენრიკეს რჩეულთა მორიგ წარმატებას, მათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს ესპანური ფეხბურთის ტალანტთა კონვეიერის უღალატობა და ისიც, რომ მადრიდის „რეალის“ წარმომადგენელთა გარეშეც შესაძლებელია გამართული თამაშით გულშემატკივართა მოხიბვლა.

ყოველივეს გათვალისწინებით, განსაკუთრებულ

ინტერესს იწვევს „ფურია როხასა“ და რობერტო მანჩინის მიერ აღორძინებული იტალიის მომავალი კლასიკური ნახევარფინალი, რომელმაც მსხვერპლთა კოლექციას ბელგიის ამბიციური ნაკრები შემატა – 2:1, თუმცა, აღნიშნული გამარჯვება ფეერიულად მოთამაშე „სკუადრა აძურას“ ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავის – სპინაცოლას მძიმე ტრავმად დაუჯდა. ასევე, ქებას იმსახურებენ კიეზა, ინსინიე, ბარელა და იმობილე.

დასახელებულ ნაადრევ ფინალს 6 ივლისს 23 საათზე ლონდონის „უემბლი“ უმასპინძლებს, სადაც 7 ივლისს იმავე დროს მეორე ნახევარფინალური შეხვედრაც გაიმართება დანიასა და მასპინძლებს შორის. ვიკინგებმა პირველივე ტაიმში გადაწყვიტეს მატჩის ბედი ჩეხეთის სიმპათიურ ნაკრებთან, რომლის სნაიპერი შიკიც თამაშის განახლებისთანავე გატანილი პრესტიჟის გოლით ბომბარდირთა დავაში რონალდუს დაეწია – 5-5 ბურთი (2:1), ხოლო ფეხბურთის სამშობლომ რომში ფეხბურთი დაავიწყა აქამდე ყისმათით გამორჩეულ უკრაინას – 4:0 (კეინი – 2, მაგუაირი, ჰენდერსონი).

კოპა ამერიკა.მეოთხედფინალი. ბრაზილია – ჩილე 1:0, პერუ – პარაგვაი 3:3 (პენალტებით – 4:3), კოლუმბია – ურუგვაი 1:0, არგენტინა – ეკვადორი 3:0 (მესი – გოლი და 2 შედეგიანი გადაცემა).

ნახევარფინალში ითამაშებენ: ბრაზილია – პერუ (6 ივლისს), არგენტინა – კოლუმბია (7 ივლისს).

◎ სამშობლოდან შორს

ქართველი ყველგან ქართველია!

როგორც ბევრმა თანატოლმა, სპორტს მანაც გუნდური სახეობებით – ხელბურთით, კალათბურთითა და ფეხბურთით გაუსინჯა გემო, მაგრამ ბოლოს მაინც გენებმა იძალა და მამის გატაცება – მაგიდის ჩოგბურთი გაიხადა მოწოდებად.

არც შემცდარა – პანდემიის შემდეგ განახლებულ სეზონში რამდენიმე ტურნირის მოგების კვალად ახლახან ესპანეთის ჩემპიონის თასიც შემართა და ყველაზე ემოციურად სამშობლოდან გაგზავნილი მილოცვები მიიღო. საქართველოში ხომ ბებიების, პაპების, ბიძებისა და ბიძაშვილების სახით ყველაზე მხურვალე გულშემატკივრები ჰყავს, რომლებსაც ხშირად ანებივრებს ვიზიტებით.

13 წლის **ლუკა ხიდაშელზე** მოგახსენებთ – ბარსელონასთან ახლოს, პატარა ქალაქ საბადელში დაბადებულ, აღზრდილ და ამჟამად, უკვე 4 წელია, იქაურ კლუბ „ნატაციონის“ წევრზე, რომელიც მანამდე „ფალკონსსა“ და „საბადელში“ ვარჯიშობდა. მათი ოჯახი – მამა, მშენებლობაზე მომუშავე გიორგი ხიდაშელი და დედა – ფინანსური კომპანიის თანამშრომელი ნინო კუთხაშვილი – თავიდან გერმანიაში ცხოვრობდა, კატალონიაში კი, მათივე განცხადებით, შემთხვევით მოხვდა, სადაც უმცროს შვილს – 1 წლის ლილესაც აფრთიანებენ.

პერსპექტიული ყმაწვილი თავის კერპ დიმიტრი ოვჩაროვთან სარბიელზე უშუალო შეხვედრასა და სექტემბრიდან მაღალი რანგის სპორტის აკადემიაში სწავლაზე ოცნებობს, სადაც დაოსტატებას განაგრძობს კიდეც, ხოლო შემდეგ ქვეყნისა და რეგიონის ნაკრებთა შემადგენლობაში საერთაშორისო ტურნირებზე ასპარეზობებიც აქვს მიზნად დასახული.

მანამდე კი... **„ჩემი დღე სკოლით იწყება და კერძო მასწავლებლებთან გაკვეთილებით გრძელდება. ბუნებრივია, განათლებაც არანაკლებ მნიშვნელოვანია“** – ამბობს ფლეისთეიშენის მოყვარული მოზარდი ემიგრანტი.

◎ ოკეანის გაღმა – გამოღმა

შესარჩევიც, ფინალურიც...

ლიეტუვაში გრძელდება ტოკიოს ოლიმპიადის დამატებითი შესარჩევი ტურნირი, სადაც მომავალი ფორუმის უკანასკნელი 4 ლიცენზიის მფლობელს შემდეგი წყვილები გამოავლენს:

ლიეტუვა – სლოვენია,
იტალია – სერბეთი,
გერმანია – ბრაზილია,
საბერძნეთი – ჩეხეთი.

ამასობაში გაირკვა, რომ ნბა-ს სუპერფინალურ სერიაში 4 მოგებამდე ერთმანეთს „ფინიქსი“ და „მილუოკი“ შეხვდებიან.

აკადემიკოსი თამაზ ვასილის ძე კუნჭულია



საქართველოს აგროსასურსათო სექტორმა, ქართულმა აგრარულმა მეცნიერებამ მტკივნეული დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი, აკადემიკოსი **თამაზ ვასილის ძე კუნჭულია.**

დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესაში 1935 წლის 1 ივლისს პედაგოგის ოჯახში.

1959 წელს დაამთავრა შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი, სწავლული აგრონომის კვალიფიკაციით.

ინსტიტუტის დამთავრებიდან დღემდე საინტერესო შრომითი და სამეცნიერო გზა განვლო, რასაც საქმისადმი ერთგულება, სახელმწიფოებრივი მიდგომა და პროფესიონალიზმი გამოარჩევდა.

1953-1963 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად.

იმავე სტატუსით მოღვაწეობდა მომდევნო ორი წლის მანძილზე სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და ეკონომიკის ინსტიტუტში.

1965 წელს აწინაურებენ და გადაჰყავთ განყოფილების გამგედ სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც 1977 წლამდე დაჰყო.

ახლებურად გამოჩნდა მისი ნიჭი პარტიულ-სამეურნეო ასპარეზზეც. აწინაურებენ ჯერ პარტიის ლანჩხუთის, ხოლო შემდგომ მახარაძის რაიკომის პირველ მდივნად, სადაც დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა რაიონების მოსახლეობაში.

1990-1991 წლებში კი სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა ეკონომიკის დარგში, სადაც აგრარული ეკონომიკის საკითხების დახვეწაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. საკმაოდ ნაყოფიერი იყო მისი თანამშრომლობა ქვეყნის მაშინდელ მთავრობასთან და სამინისტროს ხელმძღვანელობასთან.

1994-1996 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილეა და ამ ასპარეზზე გამოჩნდა მისი ორგანიზატორული ნიჭი და პროფესიონალიზმი.

ორი წლის მანძილზე, 1996-1998 წლებში სათავეში ედგა სააქციო საზოგადოება „ქართულ ჩაის“. შეიძლება ითქვას, რომ მისი დიდი დამსახურება იმაშია, რომ ამჟამად გარკვეულწილად შენარჩუნებულია ჩაის კულტურა და ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც დღესაც აწარმოებს ქართული ჩაის ხარისხიან პროდუქციას.

საინტერესოა მისი მოღვაწეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში. მისი მრავალი პუბლიკაცია, მონოგრაფია თუ სხვა სახის სამეცნიერო ნაშრომი, საქართველოს აგროსასურსათო სექტორისა და აგრარული მეცნიერებისათვის დიდი შენაძენია.

2012 წლიდან დღემდე საქართველოს გარემოს დაცვისა და სურსათის მინისტრის მრჩეველია, სადაც ჩვეული ერთგულებითა და პროფესიონალიზმით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს. ყურადღებით ეკიდებოდა ახალგაზრდა სპეციალისტებთან და კოლეგებთან ურთიერთობას, იყო გულისხმიერი და კეთილსინდისიერი პიროვნება. ცდილობდა თავისი დიდი გამოცდილების სამინისტროს თანამშრომლებისთვის გაზიარებას.

ყველგან, სადაც ბატონო თამაზი მოღვაწეობდა, გამოირჩეოდა საქმის ღრმა ცოდნითა და ერთგულებით. დამახასიათებელი იყო მისი სამაგალითო კოლეგიალობა და გულისხმიერება.

შესანიშნავი მეცნიერის, ხელმძღვანელისა და მეგობრის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება სამინისტროს თანამშრომლების მეხსიერებაში.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის და ენერგეტიკის ეკონომიკის და მენეჯმენტის მიმართულების თანამშრომლები, პროფესორ-მასწავლებლები მაია ლომსაძე-კუჭავა, ნანა სამსონია, ლალი ბოჭორიშვილი, თამარ წერეთელი, მაკა გუდიაშვილი, ნინო გიორგიშვილი, მანანა თოფურია, ბელა ჭანტურიძე, თათა ფილიპიდისი, მაკა ელისაშვილი, ნინო მაღრაძე, ზვიად გაჩეჩილაძე, დემურ ჩომახიძე, გოჩა ამყოლაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პროფესორ დავით ჯაფარიძის მეუღლე

ალისა კახნიაშვილი-ჯაფარიძისა

და თანაუგრძნობენ მის ქალიშვილს ნინო ჯაფარიძეს, უახლოეს ნათესავებსა და მეგობრებს.

ზაფხული ცხელზე ცხელია...

NCDC რეკომენდაციებს ავრცელებს

გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, წელს საქართველოში გაფხული ჩვეულებრივზე 2-3 გრადუსით ცხელია!

როგორი ივლისი გველის?

გარემოს ეროვნული სააგენტოს მოკლევადიანი პროგნოზის მიხედვით, 10 ივლისამდე დასავლეთ საქართველოში ცალკეული დღეები წვიმიანი იქნება, რაც ჰაერის ტემპერატურას დაბლა დასწევს, მაგრამ 3-4, ასევე 8-9 ივლისს მაქსიმალური ტემპერატურა დაბლობ რაიონებში შეიძლება 30 გრადუსზე მაღალი იყოს.

მთიან რაიონებში ტემპერატურა იქნება 30-35 გრადუსი. ქვემო ქართლში და თბილისში ჰაერის ტემპერატურა 36 გრადუსამდე გაიზრდება.

„ივლისი და აგვისტოს პირველი ნახევარი აღმოსავლეთ საქართველოში ყოველთვის ცხელია და მერე ტემპერატურა კლებისკენ მიდის, მაგრამ ბოლო წლებში შეიმჩნევა, რომ სექტემბერშიც გადადის მაღალი სიცხეები“, — ამბობს დოდო გვაზავა, სააგენტოს მოკლევადიანი პროგნოზების განყოფილების უფროსი.

როგორია მსოფლიო ტენდენცია?

მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (WMO) თანახმად, 2011-2020 წლები მსოფლიოს ყველაზე ცხელი ათწლეული იყო და 2021 წელიც ყველაზე ცხელი წლების სიაში შევა.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ტენდენცია არც მომავალში შეიცვლება უკეთესობისკენ.

ვისთვისაა მაღალი სიცხე სახიფათო?

მაღალი ტემპერატურა განსაკუთრებით რთულად გადააქვთ მათ, ვისაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებები აწუხებთ. სიცხე ასევე ძალიან ცუდად მოქმედებს მოხუცებზე.

ჯანმოს მონაცემებით, სულ უფრო იზრდება იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც მაღალი ტემპერატურის უარყოფით ზეგავლენას განიცდიან. ჯანმოს მონაცემებითვე, ბოლო 20 წლის განმავლობაში, 65 წელზე უფროსი ასაკის ადამიანებში მაღალი ტემპერატურით გამოწვეული სიკვდილიანობა თითქმის გაორმაგდა, 2018 წელს ამ მიზეზით დაახლოებით 300 000 ადამიანი გარდაიცვალა.

რას იწვევს მაღალი ტემპერატურა?

ალერგია, დიარეა, წნევის ცვალებადობა, გაუწყლოება... ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ დაავადებებისა, რომელიც ადამიანებში მაღალმა ტემპერატურამ შეიძლება გამოიწვიოს. კლიმატის ცვლილება აისახება ადამიანების ჯანმრთელობაზეც, მაგალითად, ცხელ ამინდებში უფრო დიდი ალბათობაა, დაბინძურდეს წყლის რეზერვუარები. მრავლდებიან ქვეწარმავლები, მღრღნელები, რომლებიც ერთი მხრივ, თავად არიან სახიფათოები, მეორე მხრივ კი სხვადასხვა დაავადების გადამტანებად გვევლინებიან.

რა არის სითბური ტალღები?

ცხელ ზაფხულს არცთუ იშვიათად თან ახლავს სითბური ტალღები. სითბურ ტალღად იწოდება სამ დღეზე მეტი პერიოდი, როდესაც ტემპერატურა იმ კონკრეტული ტერიტორიისთვის არაბუნებრივად მაღალია. ენციკლოპედია Britannica-ს მონაცემების თანახმად, ამგვარი სითბური ტალღების შედეგად, 2003 წელს მხოლოდ საფრანგეთში 14 ათას ადამიანზე მეტი დაიღუპა, ძირითადად მოხუცები, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც ძველ სახლში მარტო ცხოვრობდა და არც კონდიციონერი ჰქონდა.

როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა ცხელა?

დაავადებათა კონტროლის ცენტრი ავრცელებს რეკომენდაციებს, სიცხიან ამინდში მოსახლეობამ უნდა რომ დაიცვას:

- **მოერიდეთ გარეთ გასვლას და ინტენსიურ აქტივობას დღის ყველაზე ცხელ პერიოდში.**
- **დარჩით ჩრდილში და, თუ შესაძლებელია, გაატარეთ დღის 2-3 საათი გრილ ადგილას COVID-19-ის რეგულაციების დაცვით.**
- **შეეხმიანეთ ოჯახის წევრებს, მეგობრებს და მეზობლებს, რომლებიც დროის დიდ ნაწილს მარტო ატარებენ.**
- **შეინარჩუნეთ სიგრილე სახლში.**
- **გამოიყენეთ საღამოს საათები სახლის გასაგრილებლად.**
- **გამოიყენეთ ჟალუზები/ფარდები.**
- **შეინარჩუნეთ ორგანიზმის სიგრილე და ტენიანობა.**
- **გამოიყენეთ მსუბუქი, თავისუფალი და ბუნებრივი ქსოვილისგან დამზადებული ტანისამოსი და თეთრეული.**
- **მიიღეთ გრილი შხაპი ან აბაზანა.**
- **რეგულარულად მიიღეთ წყალი და მოერიდეთ შაქრიანი, ალკოჰოლური, კოფეინიანი და გაზიანი სასმელების მიღებას.**

თეა თოფურია,
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.

ტრაგედია ბათუმში

ბათუმში ზღვაში გაუჩინარებული მოზარდის ცხედარი იპოვეს. როგორც იუწყებიან, მოზარდის ცხედარი ნავსადგურის ტერიტორიაზე იპოვეს, სადაც ბანაობა აკრძალულია.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, მოზარდის წყალში გაუჩინარებასთან დაკავშირებით უწყებაში შეტყობინება გუშინ შევიდა.

უცნობი გოგო გადაარჩინა, თავად კი...

ფონიჭალაში, მტკვარში ახალგაზრდა კაცი დაიხრჩო. ამის შესახებ ინფორმაცია „იმედინიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს.

არსებული ინფორმაციით, 36 წლის კაცი მდინარეში

გადავარდნილი უცნობი გოგოს გამო გადახტა, რის შემდეგაც, გოგო გადარჩა, თუმცა მისი ცხედარი რამდენიმე საათიანი ძიების შემდეგ, მაშველებმა იპოვეს.

ხე-ტყის უკანონო ჭრა გრძელდება...

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აჭარისა და გურიის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა აჭარასა და გურიაში ხე-ტყის უკანონო მოპოვების 3 ფაქტი გამოავლინეს, — ამის შესახებ ინფორმაციას გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, 1 სამართალდარღვევაა გამოვლენილი გურიაში, 2 კი — აჭარაში. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოქალაქემ უკანონოდ მოიპოვა კრიპტომერიის სახეობის ხე-მცენარე. შუახევის მუნიციპალიტეტში კი, მოქალაქეებმა უკანონოდ მოიპოვეს ჯამში 4 ერთეული წიწვოვანი სახეობის ხე-მცენარე.



მუნასიბები ალიკაპებიან მსოფლიოსა და საქართველოზე

ქვეყნის სიცოცხლის ფასი

ხვამლის და ფასის მთევს

წმინდად უხმობენ რიონს –
(მასკეთთან კუნძულ რიონს,
ჩვენთან მდინარე რიონს)
და რომ არ აგვერიოს,
ის ვინ და ჩვენ დღეს ვინ ვართ?
თუ საქართველო კვლავ გვწამს,
თუ კვლავ გვსურს მისი ხილვა,
ახლავე, ამ წუთს, ამ წამს,
გვახსოვდეს ქვეყნის ფასი
ხვამლის და ფასის ფასი...
რა კავშირი აქვს ხათრთან
პირუმტკიცობას ხატთან?
წმინდა მთა არის ხვამლი,
განძის მცველია ხვამლი,
იმედი არის ხვალის...
სხვას ნუ მივუშვებთ ხვამლთან!
არის ხვამლი და ფასი,
ქვეყნის სიცოცხლის ფასი,
და უკვდავების ფასი!

ფოტოკადრმა მათქმევინა

ფეისგუქელ მეგობარ ენდი ნემსიწვერიძეს

მადლობა, ენდი, რაკიღა
მოგვესალამე ხვამლიდან,
იქნები უფრო კარგი ყმა,
ხმას თუ მოგვაწვდი ხვალიდან:
ნალეგს ვინ უცვლის ტროას ცხენს
პროკრუსტეს ჯაგახანიდან
და ემუქრება ვის კისერს,
ხმალი – ნაჭედი ხალიბთა?

საპარლამენტო „ყოფნა-არყოფნა“

„შესვლა-არშესვლა!“ –
საკითხავი ზოგთან ეს არი,
ხალხისთვის სხვაა სანუკვარი
და საესავი;
არც პირველის სწამს, არც მეორის
და არც მესამის, არც მაქებარის
და არც მგესლავის...
თავსატეხად აქვს,
სად გაექცეს, ამდენ მგელს –
საით?

ლენჩად შერჩენილი!

ფანჩატურის შერჩევით და
სიცრუესთან შეჩვევითა,
უთავგოლო შენი „რეჩით“,
გერმანიის ელჩს რომ ერჩი,
დიპლომატებს ლენჩად შერჩი

ჭიაკოკონა

ადათ-წესების დაგმობით
ყველაფერს სვრის და აქოთებს
ჩვენივე გოგი-მაგოგი,
ჩვენივე მიშა-მაგოგი,
ვინც უცხოეთში დაქოქეს.
გადაღებებით ფარულით
ბედავს აკრძალულ მარულას...
არული, კუდიანებო,
კუდიანებო, არულა!

„ჩ ე ნ ჩ ი“

დავახურდავეთ ივანი,
ცეკას მეორე მდივანი,
ყველა იმ ქვეყნის ელჩებად,
წვრილმანებშიც რომ ეჩრება,
როდესაც ვრჩებით ლენჩებად!

მაგალითი

ვიდრემდე ქორი გადუქროლებს
ქართულ სანახებს.
კაპიტოლიუმს ვინც უტევდა,
ეგებ გვანახონ
ვინ სად მოკლეს და როგორ
დამარხეს!
ნურავინ ფიქრობს, ზღაპარი
და მხოლოდ მითია,
რომ ვაშინგტონი მსოფლიოსთვის
მ ა გ ა ლ ი თ ი ა!

უსახო სახეები

პირაკრულია დედამიწა
ალიკაპებით,
აღარც ცხვირპირი აღარ გვიჩანს,
არც ნიკაპები,
რადგან ეს არის გადარჩენის
ურცხვი პირობა,
სახე წაგვართვა პანდემიის
უცხვირპირობამ

ბორგავს გოგოლი

კრემლი კრემლია, იგი უკვე
დიდი ხანია,
ბოროტი კია,თუმცა როდი
გახლავთ სულელი
და ითქვა,
რადგან მოეწონა პეპსი ვანიას,
მან ურჩიაო პენსილვანიას,
არჩევნების დროს გამოეხმო
მკვდრების სულები...
– ჰოდა განსაჯეთ,
დღეს სამყარო გახდა როგორი? –
ამბობს გოგოლი და საფლავში
ბორგავს გოგოლი!

არ ვენდოთ სეთურს!

ღამეა, ღამე ყიამეთური
და ყიამყრალობს ყია სეთურის,
თან გზაზე გვიყრის სანუკვარ
საკენკს,
რომ გაგვიტყუოს უფსკრულისაკენ..
მხარი-მხარ ერთურთს,
მხარი-მხარ ერთურთს,
არ ვენდოთ სეთურს,
არ გავყვეთ სეთურს!

ალექსანდრე შენგელია
ქუთაისი.

საქართველოს ეროვნული პარკები – მსოფლიოს მიზიდულობის ცენტრი

„ესაა უნიკალური შემთხვევა, როცა საქართველომ საკუთარი დაცული ტერიტორიები იუნესკოში წარადგინა, როგორც ბუნებრივი მემკვიდრეობის ერთ-ერთი გამორჩეული ტერიტორიები, – ამის შესახებ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნინო თანდილაშვილმა განაცხადა.

„ჩვენ გვაქვს ძალიან პოზიტიური სიგნალები იუნესკოდან. ივლისში, დაახლოებით 20 რიცხვისთვის, ჩვენ ველოდებით იუნესკოს საბოლოო გადაწყვეტილებას, რომ კოლხური ჭარბტენიანი ტერიტორიები აღიარონ საერთაშორისო დონეზე, როგორც გამორჩეული დაცული ტერიტორიები თავისი ბუნებრივი სიმდიდრითა და ბიომრავალფეროვნებით. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ გავწიეთ ძალიან დიდი სამუშაო იუნესკოს ექსპერტებთან ერთად, რათა ქვეყანას მოემზადებინა განაცხადი. ეს ტერიტორიები და საქართველო მთლიანად მოხვდება იუნესკოს მსოფლიო რუკაზე და გარდა მატერიალურ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა, რომელიც უკვე აღიარებულია იუნესკოს მიერ, ჩვენ გვექნება ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლი, რომელსაც აღიარებენ“, – განაცხადა თანდილაშვილმა.

მისი თქმით, ეს აქცევს ამ ტერიტორიებს მიზიდულობის ცენტრად და საქართველოს გააჩენს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის რუკაზე, **„რაც კიდევ ერთხელ ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის სექტორის გაძლიერებასა და დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორების ზრდას. ეს პოზიტიური გადაწყვეტილება საქართველოს სასარგებლოდ იქნება მიღებული, რაც ქვეყნის ბუნებისა და ბიომრავალფეროვნების აღიარება იქნება“,** – აღნიშნა თანდილაშვილმა.

განახლებული სანაპირო ზოლი ქობულეთში

ქობულეთში განახლებული სანაპირო ზოლი გაიხსნა. ბულვარში მოეწყო საზეიმო მსვლელობა, ნახატების გამოფენა, კონცერტები რამდენიმე ლოკაციაზე და ფრანების შოუ. დააჯილდოვეს მოსწავლეები და გამოავლინეს საპატიო ქობულეთლები.

3-კილომეტრიან მონაკვეთზე მთლიანად განახლდა მიწისქვეშა კომუნიკაციები, განათების სისტემა, მწვანე საფარი და სასეირნო ზოლი. მოეწყო საბავშვო სივრცეები, სპორტული მოედანი, სავარჯიშო კუთხე და ადგილები ველოპარკირებისთვის. ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. ქობულეთის ბულვარის რეაბილიტაცია 2019 წლის თებერვალში დაიწყო. პროექტის ღირებულება 7 მილიონი ლარია.

გერმანული ავიაკომპანია საქართველოს ავიაბაზარზე

საქართველოს ავიაბაზარზე ახალი დაბალბიუჯეტიანი გერმანული ავიაკომპანია შემოვიდა. Eurowings-მა, დუსელდორფი-თბილისის მიმართულებით პირველ პირდაპირი რეისი გუშინ 13 საათსა და 40 წუთზე შეასრულა.

ავიაკომპანია დუსელდორფი-თბილისი-დუსელდორფის მიმართულებით ფრენებს ყოველ კვირა დღეს შეასრულებს. 21 ივლისიდან კი AIRBUS A320 ტიპის საჰაერო ხომალდი ყოველ ოთხშაბათსა და კვირას მოემსახურება მგზავრებს. გერმანიიდან ჩამოსულ 171 მგზავრს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საზეიმო ცერემონიალით დახვდნენ. ოფიციალური დახვედრის ცერემონიალში ეკონომიკის მინისტრი, მისი მოადგილე, გერმანიის ელჩი საქართველოში, გერმანული ავიაკომპანიის და საავიაციო ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 7 ივლისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.1593; ევრო - 3.7375;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.3412;
100 რუბლი - 4.2920; თურქული ლირა - 0.3629;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8549;
1000 სომხური დრამი - 6.3889.

ამინდი 5 ივლისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +18, დღე +32
მთიანი რაიონები - ღამე +14, დღე +30
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +17, დღე +29
მთიანი რაიონები - ღამე +16, დღე +27
თბილისი: ღამე +21, დღე +32

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge